ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ ტეფნაძე

გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედება საქართველოში

ბიზნესის ადმინისტრირება

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

გიორგი ღაღანიძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

ნაშრომის თემაა გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედება საქართველოში. ნაშრომში განხილული მაქვს ზოგადად გლობალიზაცია, მისი მნიშვნელობა მსოფლიოსთვის თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, განვითარება და გენეზისი, აგრეთვე ის უმნიშვნელოვანესი მოვლენები და ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მის განვითარებას. აგრეთვე მოკლედ მიმოვიხილე უშუალოდ გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ გლობალური ეკონომიკური პროცესების დახვეწასა და ხელშეწყობაში, რათა შემცირდეს ეკონომიკური კრიზისების ალბათობა და ხელი შეეწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიმოვიხილე მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. აგრეთვე ვრცლად მაქვს განხილული ამ თითოეული საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება და გატარებული ღონისძიებები ჩვენს ქვეყანაში, მათი წვლილი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში.

ჩავატარე კვლევა, რომლის მიზანია გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობის შეფასება საქართველოში. აგრეთვე მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებით. გავაკეთე გამოკითხვა მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების, განსხვავებული სოციალური სტატუსის და სხვადასხვა სფეროში დასაქმებების მიხედვით.

Annotation

The topic of work is Globalization supporting international organization's activities in Georgia. I overview Generally globalization, its importance for world and also its positive and negative sides. Also I overview development and growth of globalization, the most important factories, which supported its development. Globalization supporting international organizations, which has important role in developing and supporting economic processes. I specifically overview The World Bank, International Monetary Fund, and also World Trade Organization. I reaserch Globalization supporting international organizations' activities in Georgia, their events and Contribution for Georgian economic.

I research different categories of people, and I was interested what they think about Globalization supporting international organizations and how they know about organizations' acticities in our country.

შინაარსი

შესავალი----------3

თავი 1 გლობალიზაციის განვითარება თანამედროვე ეტაპზე----------5

1.1 გლობალიზაციის მოკლე გენეზისი---------- -5

1.2 გლობალიზაციის ხელშემწყობი მოვლენები----------13

1.3 გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების მოკლე მიმოხილვა ----------21

თავი 2 გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში----------28

2.1 მსოფლიო ბანკის საქმიანობა საქართველოში----------28

2.2 საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა საქართველოში----------36

2.3 საქართველოს გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში----------41

თავი 3 გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება საქართველოში----------52

3.1 მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების დამოკიდებულება გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობასთან-52

დასკვნა----------67

რეკომენდაციები----------68

გამოყენებული ლიტერატურა----------69

შესავალი

გლობალიზაცია, ესაა განვითარების მიმართულება, რომელიც აძლიერებს ნაციონალური ინსტიტუტებისა და ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულებას. გამოიყოფა ბაზრების და პროდუქციის გლობალიზაცია.

ბაზრების გლობალიზაცია გულისხმობს მყიდველთა ერთიანი დამოკიდებულების ფორმირებას მთელ მსოფლიოში. ეს ქმნის წარმოებისა და განაწილების სრულიად ახლებურ შესაძლებლობებს. პროდუქციის გლობალიზაცია კი წარმოების გადანაცვლებაა მსოფლიოს იმ რეგიონებში, სადაც შესაძლებელია დაბალი დანახარჯებით წარმოება ან მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება.

ბაზრების გლობალიზაციისას, როდესაც ბიზნესსაქმიანობა სცილდება ეროვნულ საზღვრებს, ჩნდება მისი რეგულირებისა და კონტროლისათვის აუცილებელი ინსტიტუტების საჭიროება და გლობალური ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზნით, მათი დახმარებით მულტიეროვნული შეთანხმების დადების აუცილებლობა. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ამ ფუნქციის შესასრულებლად შეიქმნა მრავალი გლობალური ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტები თავიანთი მისიით გლობალური ეკონომიკური პროცესების დახვეწასა და ხელშეწყობას ემსახურებიან, რათა შემცირდეს ეკონომიკური კრიზისების ალბათობა და ხელი შეეწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას. გლობალურ ინსტიტუტებს მიეკუთვნება: მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ყველა ეს ინსტიტუტი შეიქმნა სახელმწიფოების ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე და მათი ფუნქციები განსაზღვრულია საერთაშორისო ოფიციალური შეთანხმებებით. დღეისათვის მსოფლიო ბანკი წარმოადგენს განვითარების მიზნით ერთ-ერთ მსხვილ დახმარების წყაროს მსოფლიოში. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის უღარიბესი ჯგუფებისა და ქვეყნების დახმარება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი არის საერთაშორისო ორგანიზაცია 184 წევრი სახელმწიფოთი (მათ შორის საქართველოც), რომელიც შეიქმნა საერთაშორისო მონეტარული თანამშრომლობის, გაცვლითი კურსის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით და მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს წევრი

ქვეყნებისთვის დროებითი ფინანსური დახმარების გაწევა საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ხელს უწყობს სავაჭრო ბარიერების შემცირებას. მსო-ს სამი ძირითადი მიზანია: თავისუფალი ვაჭრობის განვითარება, ბაზრების შემდგომი გახსნის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება, სავაჭრო დავების გადაწყვეტის მექანიზმის შემუშავება.

სწორედ ეს საერთაშორისო ორგანიზაციები ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ეკონომიკურ პროცესებზე, რათა შემცირდეს ეკონომიკური კრიზისები და ხელი შეეწყოს საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობას.

თავი 1

გლობალიზაციის განვითარება თანამედროვე ეტაპზე

1.1 გლობალიზაციის მოკლე გენეზისი

ტერმინი "გლობალიზაცია" წარმოსდგება ფრანგული სიტყვა global-ისგან, რაც საყოველთაოს ნიშნავს. ის აგრეთვე ასოცირდება ლათინურ სიტყვა globus-თან. XX საუკუნის 80-იან წლებში გლობალიზაცია პირველად ამერიკელმა მეცნიერმა ტ. ლევიტმა გამოიყენა ცალკეული ბაზრების შესწავლის პროცესის ასახსნელად. ამრიგად, თავდაპირველად ის წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინია, მაგრამ სულ რამდენიმე წელიწადში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. მ. ელბროუმ 1990 წელს ლონდონში გამოცემულ კრებულში – "გლობალიზაცია, შემეცნება და საზოგადოება"[1] – ეს ტერმინი ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა მსოფლიო ხალხების სხვადასხვა კულტურისა და ცივილიზაციის ერთიანობის გამოსახატავად.

ლიტერატურაში გლობალიზაციის უამრავი განმარტება არსებობს. ცნობილი ინგლისელი სოციოლოგი ე. გიდდენსი მას სოციალურ მოვლენად მიიჩნევს, გლობალიზაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც სოციალური ურთიერთობების ინტენსიფიკაცია, რომელიც დაშორებულ ადგილებს ისეთნაირად აკავშირებს, როდესაც ადგილობრივი ყალიბდება ათასობით მილის იქით მომხდარი მოვლენის საფუძველზე და პირიქით. ამერიკელი ეკონომისტი გ. ბჰაგვატი კი განმარტავს, რომ ეს არის საგარეო ვაჭრობის, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების, მოკლევადიანი კაპიტალის ნაკადების, სამუშაო ძალის და საერთოდ მოსახლეობის გადაადგილების, ასევე ტექნოლოგიების, საერთაშორისო გაცვლის საფუძველზე მსოფლიო სისტემაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესი. ამავე აზრს იზიარებს ამერიკელი ეკონომისტი ჯ. სტიგლიცი, რომლის მიხედვითაც, გლობალიზაცია არის ქვეყნებისა და ხალხის სულ უფრო მჭიდრო ინტეგრაცია, რომელიც განპირობებულია ტრანსპორტისა და დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირებით,

[1] თ.შენგელია, გლობალური ბიზნესი, 2012 წელი. თბილისი

საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, ცოდნის, ადამიანების ეროვნულ საზღვრებს მიღმა გადაადგილებით, პროცესი რომელიც ხორციელდება ხელოვნური ბარიერების მოსპობით.

მართალია, რომ როგორც ტერმინი "გლობალიზაცია", საკმაოდ გვიან, მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი ნიშნები დიდი ხნით ადრე ჩნდება. ეს ზოგადი ცნება მსოფლიო მასშტაბით ერთი, დომინანტი კულტურის გავრცელებასაც მოიცავს. გლობალიზაცია, როგორც სოციალური პროცესი, საკმაოდ ძველია და უფრო გრძელი ისტორია აქვს ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. გლობალიზმის ადრეული ფორმები არსებობდა ძველ მსოფლიოშიც. ამისი მაგალითია რომის იმპერია, პართია, ხანის დინასტია. ამ უკანასკნელის მმართველობის პერიოდში დაიწყეს "აბრეშუმის გზის" მშენებლობა. ისტორიიდან უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის შესახებ, თუ როგორ ავრცელებდნენ სხვადასხვა კულტურას თუ რელიგიას ამ თუ იმ ქვეყანაში ჩასული ვაჭრები. თუ გავიხსენებთ ბერძნულ კოლონიზაციას, ამ პროცესს თავისუფლად შეგვიძლია გლობალიზაცია ვუწოდოთ. ბერძნები სხვა ქვეყნებში ავრცელებდნენ და ნერგავდნენ თავიანთ კულტურას. ასევე, საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ვაჭრების მოგზაურობა, ანუ მოძრაობდა კაპიტალი. ასევე, შეგვიძლია გავიხსენოთ "ისლამის ოქროს ხანა" _მუსულმანმა ვაჭრებმა მოახდინეს პროდუქციისა და ცოდნის გლობალიზება. მონღოლთა იმპერიაში კი აბრეშუმის გზამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. მე-16 საუკუნიდან დაწყებული აზიური პროდუქციის მიწოდება ევროპაში წარმოადგენდა საერთაშორისო ვაჭრობისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. ამდენად გარკვეული გამოცდილება ყოველთვის არსებობდა. 1850 წელს ინდუსტრიული კაპიტალიზმის მზარდმა აღმავლობამ მოითხოვა მეტი რესურსები და გლობალური ბაზარი. ესეთ პირობებში ტრადიციული პროტექციონიზმი გახდა "გამოუსადეგარი". ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას. უკვე 1870 წლისათვის ბრიტანეთის ეკონომიკური უპირატესობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა გერმანიისა და აშშ-ს ინდუსტრიალიზაციის მზარდი ტემპების გამო. ნეილ ფერგიუსონი თვლის, რომ 1870 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე საქონლისა და კაპიტალის მიმოქცევამ მიაღწია იქამდე არნახულ მასშტაბებს, რაც შემდგომ მეოცე საუკუნის 80-იან

წლებში განმეორდა. ეკონომიკური ასპექტებით იმდროინდელი მსოფლიო მართლაც ძალიან ჰგავდა თანამედროვე ტენდენციებით გაჯერებულ რეალობას, თუმცა, შესაძლოა, მხოლოდ ერთი შეხედვით. ასე რომ, ვერ ვიტყვით, რომ გლობალიზაცია მხოლოდ თანამედროვე პროცესია. უბრალოდ, ტექნიკურმა საშუალებებმა, და განსაკუთრებით ინტერნეტმა, ის უფრო ეფექტური გახადა.

გლობალიზაციას საფუძვლად უდევს პროცესი, რომელიც ცნობილია როგორც - ექსპანსია - (ლათინურიდან expansio - გაფართოვება, გავრცელება) - ანუ [რაღაცის] ზომის, მოცულობის, რაოდენობისა ან ზღვარის გაფართოებაზე მიმართული ქმედება. ფაქტიურად გლობალიზაცია შესაძლებელია დახასიათდეს როგორც - [დედამიწის სასრულ სივრცეში] ლოგიკურ ზღვარს მიღწეული ექსპანსია. სპონტანური ექსპანსიის წარმატებული რეალიზაციის ყველაზე ცნობილი მაგალითებია:

- ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა;
- რომის იმპერიის შექმნა;
- მუჰამედის დროინდელი არაბების ექსპანსია;
- მონღოლ-თათართა დაპყრობები;
- ესპანეთისა და ბრიტანეთის კოლონიური იმპერიების შექმნა;
- მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის აშშ-ს გლობალური ექსპანსია.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან სჩანს, ყველა შემთხვევაში ექსპანსიის შედეგად ათვისებული სივრცე უზარმაზარი იყო. უკვე ესპანეთის ექსპანსია თავისი გამოვლენით გლობალურს უახლოვდებოდა, მაგრამ მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის იმპერიული სახელმწიფოების დაპირისპირების ხანაში ევროპულმა კოლონიურმა ექსპანსიამ დაუდო დასაბამი გლობალიზაციას როგორც ასეთს.

გლობალიზაციის ეტაპების რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს.
ერთ-ერთი კლასიფიკაციით გლობალიზაციის ეტაპები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- 1850-1929 პირველი გლობალიზაცია;
- მეორე ეტაპი 1929-1978 დე-გლობალიზაცია;
- მესამე ეტაპი 1978- დღემდე.

შესაძლებლობა/რისკი	პირველი გლობალური ეკონომიკა 1850-1929	დე-გლობალიზაცია 1929-1978	მეორე გლობალური ეკონომიკა 1978-დღემდე
პოლიტიკური ეკონომია	საერთაშორისო სამართალი და იმპერიალიზმი მხარს უჭერდა დასავლურ კომპანიებს	ექსპოპრიაცია; იმპორტის ჩანაცვლება;სავალუტო გაცვლის კონტროლი	ლიბერალიზაცია, მაგრამ სუვერენული და ძლიერი მთავრობები
ბაზრები და რესურსები	დაბალი შემოსავლები; კულტურული განსხვავება; დიდი რაოდენობით რესურსები	შეზღუდული თანაარსებობა; გარე მფლობელობის აკრძალვა	გლობალიზაცია; ტრიბალიზაცია; სამუშაო ძალის დაბალი დანახარჯები
კონკურენცია	ჩანასახოვავი	სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიების გაძლიერება	მზარდი კერძო სექტორი
სტრატეგიები	პარტნიორობა ადგილობრივ ელიტებთან; საკუთარი ქვეყნის მხარდაჭერა; ლოჯისტიკის სირთულეების გადაწყვეტა	ინვესტიციები დასავლეთში; ერთობლივი საწარმოები და ადგილობრივი მონაწილეობა	წვდომა იაფ მუშა-ხელზე; ადაპტირება ადგილობრივ ბაზრებთან და პოლიტიკასთან

ასევე არსებობს სხვა კლასიფიკაცია, სადაც:

- პირველი ეტაპი 1870-1913 წლები;
- მეორე ეტაპი 1945-1990 წლები;
- მესამე ეტაპი 1980- დღემდე.

ცნობილი გერმანელი მოაზროვნე კარლ იასპერსი (1948) მიიჩნევდა, რომ თანამედროვე გლობალიზაცია დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. იგი წერდა „[2]სწორედ ამ მომენტიდან იწყება მსოფლიოს, როგორც ერთიანი მთლიანობის ისტორია, დედამიწა ერთიანი გახდა. თავს იჩენს ახალი საშიშროებანი და შესაძლებლობანი. ყველა არსებითი

[2] ქ.ბოლქვაძე-გლობალიზაცია, მოდერნიზაცია და ვესტერნიზაცია,2008 წელი

პრობლემა მსოფლიო პრობლემად იქცა, სიტუაცია - მთელი კაცობრიობის სიტუაციად“. მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის დაწყების თარიღი უშუალოდ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დაშლასთან, ე.ი. 1992 წელთან, როდესაც პოსტსაბჭოური და პოსტსოციალისტური სივრცე გახდა ღია და მისაწვდომი დასავლური გლობალიზაციისათვის, კაპიტალის, საქონლის, შრომის რესურსებისა და იდეების თავისუფალი მიმოქცევისათვის. პროფესორი ზურაბ დავითაშვილი აღნიშნავს, რომ საყოველთაო გლობალიზაცია „მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისიდან შეიძლება მომხდარიყო, როცა სოციალიზმის კრახი და საბჭოთა კავშირის დაშლა ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დასასრულის მაუწყებელი გახდა,მხოლოდ ახალ საერთაშორისო ვითარებაში გახდა შესაძლებელი გლობალიზაციის პროცესი განვითარებულიყო“. ამრიგად გლობალიზაციის დაწყების თარიღად სამი ძირითადი პოზიცია არსებობს: 1) გლობალიზაცია იწყება უძველესი დროიდან 2) გლობალიზაცია იწყება მეორე მსოფლიო ომის დროიდან. 3) გლობალიზაცია იწყება საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდან.

მე-20 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში კაცობრიობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, ის დაკავშირებულია გლობალიზაციასთან და გულისხმობს ერთიანი, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, რომელიც ეფუძნება ღია, საბაზრო ეკონომიკისა და პოლიტიკური დემოკრატიის პრინციპებს. თანამედროვე გლობალიზაციას ჰყავს წინამორბედი, რომელმაც დაახლოებით ასი წლის წინ დაკარგა თავისი, როგორც წამყვანი როლი, ეს არის პირველი სამრეწველო რევოლუცია. თანამედროვე ტექნიკური რევოლუციისგან განსხვავებით, ამ პირველი გლობალიზაციის წამყვან ძალას ტექნოლოგია წარმოადგენდა. ამ ეპოქაში ტექნოლოგია აფართოებდა შრომის საერთაშორისო დანაწილების საზღვრებს, პოლიტიკა კი უბიძგებდა სახელმწიფოებს პროტექციონიზმის, იმპერიალიზმისა და მილიტარიზმისაკენ, რისი ტრაგიკული შედეგიც აღმოჩნდა პირველი მსოფლიო ომი.

გლობალიზაცია, არა მხოლოდ ტექნიკური იმპერატივი ან მხოლოდ ეკონომიკური მოვლენა, არამედ ისტორიული პერსპექტივის კუთხით განიხილება, როგორც პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესი. უფრო ფართო თვალსაზრისით გლობალიზაცია არის ცენტრალური

დაგეგმვისგან განდგომის ერთ-ერთი შედეგი, ბრძოლის პროცესი ა.სმიტის “უხილავ ხელსა” და ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის “მკვდარ ხელს” შორის. გლობალიზაციის პროცესების შედეგად მსოფლიო მეურნეობა სულ უფრო ღრმად იჭრება ეროვნულ ეკონომიკაში, განსაზღვრავს მისი განვითარების პრიორიტეტებს, ურთიერთქმედების მექანიზმს, ფუნქციონირების ნორმებს და სტანდარტებს, მაგრამ არ ცვლის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მონაწილის – ეროვნული სახელმწიფოს მნიშვნელობას, არამედ ხასიათდება სხვა მონაწილეების – ტრანსეროვნული კორპორაციების(ტეკ), ტრანსეროვნული ბანკების(ტებ), საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მზარდი როლით. გლობალიზაციის პირობებში, ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთშეღწევადობის ზრდის შედეგად სახელმწიფო საზღვარი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, გარკვეულწილად კარგავს თავის მნიშვნელობას, ხოლო როგორც ისტორიულ-სამართლებრივი კატეგორია ის კი არ ქრება, არამედ უფრო ლიბერალური ხდება წარმოების სხვადასხვა ფაქტორების განლაგების თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი არ ნიშნავს სახელმწიფო საზღვრის, როგორც პოლიტიკურ-გეოგრაფიული კატეგორიის გაქრობას.

გლობალიზაციის პროცესის შედეგად ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების ზრდის საფუძველს წარმოებისა და კაპიტალის მოძრაობის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთგანპირობებული, მაგრამ არა ერთი და იგივე პროცესებია. ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის შიგნით მიმდინარე პროცესების საზღვარს გარეთ გასვლას, მსოფლიო ეკონომიკის რამდენიმე სუბიექტის გაერთიანებას საერთო მიზნების, ამოცანების, საქმიანობის სახეების გარშემო, რომელიც არ იწვევს საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა, ან თითქმის ყველა წევრის მონაწილეობას ამ პროცესში. გლობალიზაცია კი გულისხმობს საქმიანობის წარმართვას უშუალოდ ქვეყნების ჯგუფის ან მსოფლიოს დონეზე.

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპი, აგრეთვე, ხასიათდება რიგი კარგად გამოხატული თავისებურებებისა, რომლებიც საკმარისია, იმისათვის, რათა მასზე მკაფიო წარმოდგენა შევიქმნათ.

1. ყველა პროცესი გლობალიზაციის ფარგლებში ღიაა და ორმხრივი. არსებობს უკუკავშირები პროცესების ინიციატორებსა და მათ ობიექტებს შორის.
2. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია აირჩიოს, შეუერთდეს თუ არა ამ პროცესებს და რა სახით. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ეს არჩევანი, როგორც ამას საბჭოთა კავშირში უწოდებდნენ - ნებაყოფლობით-დაძალებითია. „შეერთების“ წესები და პირობები შესაძლებელია დაყვანილ იქნენ საბაზრო ეკონომიკის განვითარებამდე, კონკურენტული ბაზრების შექმნამდე, საზღვრების გახსნამდე საქონლისა და კაპიტალის თავისუფლად გადასაადგილებლად და ტრანსნაციონალური კორპორაციების შეუზღუდავ დაშვებაზე იმ ქვეყნების საშინაო ბაზრებზე, რომლებიც გლობალიზაციის პროცესების გავლენას განიცდიან.
3. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უპირატესობა სხვებთან შედარებით იმდენად დიდია, რომ ისინი აღარ წარმოადგენენ ,,დახურულ კლუბს“, როგორც ეს გლობალიზაციის დასაწყისში იყო. გლობალიზაციის პროცესების ფარგლებში ნებისმიერ ქვეყანას უქმნიან ,,შესაძლებლობათა სარკმელს“ (ზოგს რამდენჯერმე), რომელიც ნებისმიერს შეუძლია გამოიყენოს იმისათვის, რომ წამყვან სახელმწიფოთა რიცხვს შეუერთდეს (რასაკვირველია, თუ ამის უნარი გააჩნია).
4. დღევანდელი ტექნოლოგიები (მართვის, კომუნიკაციური, ინფორმაციის დამუშავების, სამხედრო და ა.შ.) ისეთია, რომ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს დედამიწის ნებისმიერ კუთხეში შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა ტერიტორიაზე უშუალო სამხედრო თუ ადმინისტრაციული კონტროლის დამყარების გარეშე.

გლობალიზაციისათვის დამახასიათებელია სამუშაო ძალის მიგრაცია, რაც ძალიან ხშირად აჩენს პრობლემებს, როგორც იმ ქვეყნებში საიდანაც ხდება მიგრაცია, ასევე იმ ქვეყნებში სადაც ცდილობენ მიგრანტები ჩასვლას. როგორც წესი ადამიანები

ემიგრირებენ ქვეყნებში, სადაც ძალზე მაღალია ცხოვრების დონე და ამდენად ძალიან მაღალია ეკონომიკური შესაძლებლობები.

გლობალიზაციის გამომწვევი ძირითადი ფაქტორებია: ფინანსების ინტერნაციონალიზაცია; წარმოების ინტერნაციონალიზაცია; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება.

1.2 გლობალიზაციის ხელშემწყობი მოვლენები

გლობალიზაციის ზრდას განაპირობებს ორი მაკროფაქტორი, პირველი არის ბარიერების შერბილება, რომელიც წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ და რომელიც ხელს უწყობს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის მიმოქცევას და მეორე - ტექნიკური პროგრესი, განსაკუთრებით კომუნიკაციის სფეროში, ინფორმაციის დამუშავებასა და სატრანსპორტო ტექნოლოგიებში.

გლობალიზაციის განვითარებას დღევანდელ ეტაპზე განაპირობებს:

- ბარიერების შემცირება საერთაშორისო ვაჭრობაში და ინვესტიციებში;
- შემცირებული დანახარჯები საინფორმაციო ტექნოლოგიებზე და ინტერნეტის მნიშვნელობა.
- შემცირებული სატრანსპორტო დანახარჯები;

ყველა ეს ფაქტორი განაპირობებს გლობალიზაციის დაჩქარებას, ჩქარდება პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების ვადები, ადვილი ხდება ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალ ბაზრებზე უფრო თავისუფალი წვდომა.

ბაზრების გლობალიზაცია კომპანიებისათვის იძლევა შემდეგ შესაძლებლობებს:

- დანახარჯების შემცირება სტანდარტიზაციის საფუძველზე.
- ახალი საგარეო ბაზრების ათვისება საშინაო ბაზრებზე ზრდის შეფერხების შემთხვევაში.
- საფინანსო სისტემის სტაბილურობას.

ბაზრების გლობალიზაცია გულისხმობს მყიდველთა ერთიანი დამოკიდებულების ფორმირებას მთელ მსოფლიოში. ეს ქმნის წარმოებისა და განაწილების სრულიად ახლებურ შესაძლებლობებს.

პროდუქციის გლობალიზაცია - წარმოების გადანაცვლება მსოფლიოს იმ რეგიონებში, სადაც შესაძლებელია დაბალი დანახარჯებით წარმოება ან მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება.

გლობალიზაციის მეშვეობით შესაძლებელი ხდება:

- უფრო იაფი მუშა-ხელის დაქირავება, როგორც წარმოებაში ასევე მომსახურეობაში.
- მისაწვდომობა ტექნიკურ ცოდნასა და გამოცდილებაზე.
- უფრო იაფ რესურსებზე მისაწვდომობა.

სავაჭრო და საინვესტიციო ბარიერების შემცირება - სავაჭრო ბარიერების შემცირებას ხელს უწყობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. მსო-ს სამი ძირითადი მიზანია: თავისუფალი ვაჭრობის განვითარება, ბაზრების გახსნის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება, სავაჭრო დავების გადაწყვეტის მექანიზმის შემუშავება.

1920-30-იან წლებში მსოფლიოს მრავალმა განვითარებულმა სახელმწიფომ დააწესა ძალიან მკაცრი ბარიერები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო ვაჭრობასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. საერთაშორისო ვაჭრობა გულისხმობს, რომ ფირმა ახდენს საქონლისა და მომსახურების ექსპორტს სხვა ქვეყნებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კი გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც ფირმა ახდენს მისი რესურსებისა და შესაძლებლობების ინვესტირებას სხვა ქვეყანაში. დაწესდა მკაცრი ბარიერები მაღალი ტარიფების სახით იმპორტირებულ საქონელზე. ასეთი ტარიფების მიზანი იყო ადგილობრივი მწარმოებლების დაცვა უცხოელი კონკურენტებისაგან. თუმცა ამ პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ მან სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან ადეკვატური - იმავე სახეობის ბარიერების შექმნა გამოიწვია. ყოველივე ამას კი შედეგად 1930 წლის ე.წ „დიდი დეპრესია“ მოჰყვა.

ასეთი მწვავე გამოცდილების შედეგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთის განვითარებული ქვეყნები დათანხმდნენ ბარიერების შემცირებას, რათა მომხდარიყო საქონლისა და მომსახურების თავისუფალი მიმოქცევა მსოფლიო ბაზარზე. ამ შეთანხმებას ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება ეწოდა. მის საფუძველზე ქვეყნებმა

დაიწყეს მუშაობა არსებული ბარიერების გაუქმებაზე. ამ მიზნით ჩატარებული ბოლო მოლაპარაკება, რომელსაც ურუგვაის რაუნდი ეწოდება, გაიმართა 1993 წლის დეკემბერში. სავაჭრო ბარიერების გაუქმებამ დააჩქარა წარმოების გლობალიზაცია.

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიო ვაჭრობის მოცულობამ სწრაფი ზრდა დაიწყო, ის იმაზე მეტად იზრდებოდა, ვიდრე მსოფლიოს ეკონომიკა 1950 წლიდან. 1970 წლიდან 2010 წლამდე მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა ოცდათხუთმეტჯერ გაიზარდა, მსოფლიო წარმოების მაჩვენებელს 8-ჯერ გადააჭარბა. ბარიერების გაქრობამ მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტენდენცია გამოიწვია 1980 წლიდან.

ბარიერების შემცირებამ ცხადყო შემდეგი ტენდენციები: პირველი, მსოფლიო ბაზრების ეფექტიანად დასაუფლებლად ფირმების უმეტესობა საკუთარ სამეწარმეო ობიექტებს დედამიწის ირგვლივ ანთავსებს; მეორე, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკები ისეთ ხასიათს იძენს, რომ თანდათან ნათელი გახდა მათ შორის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების აუცილებლობა; მესამე, მსოფლიოს საერთო სიმდიდრე 1950 წლიდან დღემდე მნიშვნელვნად გაიზარდა, ამ ფაქტის გამომწვევი მიზეზი კი მსოფლიო ვაჭრობის მნიშვნელოვანი და ინტენსიური ზრდაა. 1980-იანი წლებიდან საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვნად იზრდება მომსახურების სფეროს ხარჯზე. მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში წინა პერიოდთან შედარებით მომსახურების ღირებულება გაიზარდა 4.5-ჯერ, ხოლო საქონლით საერთაშორისო ვაჭრობა ამავე პერიოდში 3.5-ჯერ. ამ დროისათვის მომსახურების წილი მსოფლიო ბაზარზე შეადგენს 20%-ს. სწორედ ამ მაჩვენებლის შესაბამისად უამრავი კორპორაცია ეწევა მომსახურების სფეროში საქმიანობას საერთაშორისო დონეზე.

აგრეთვე აღსანიშნავია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზემოქმედება და როლი მსოფლიო ვაჭრობის მოცულობაზე.

სავაჭრო ბარიერების შემცირება, ტარიფებიდა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების გაფართოება, პატენტების, სავაჭრო ნიშნებისა და საავტორო უფლებების დაცვა, ასევე მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციისთვის საზედამხედველო სტატუსის მინიჭება - არეგულირებს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს.

2001 წლის დასასრულს მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციამ დაიწყო მოლაპარაკებების ახალი სერია, რომლის მიზანი იყო მსოფლიო ვაჭრობისა და ინვესტიციების უფრო მაღალი თავისუფლების ხარისხის უზრუნველყოფა. ამ მოლაპარაკებების ჩასატარებლად მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციამ სპარსეთის ყურე(კატარი) აირჩია. მოლაპარაკებები გაგრძელდა სამი წელიწადი. დღის წესრიგში იდგა ტარიფების შემცირება საქონელზე, მომსახურებასა და სასაქონლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტებზე, ასევე საერთაშორისო ინვესტიციებისათვის ბარიერების შემცირების საკითხი. დღეისათვის საშუალო სატარიფო ნორმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციაზე დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, მდიდარი ერები ხარჯავენ დაახლოებით 300 მილიარდ დოლარს სუბსიდიების სახით ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობისათვის. ღარიბმა ქვეყნებმა კი ყველაფერი უნდა გააკეთონ სატარიფო ნორმების შესამცირებლად, რაც საშუალებას მისცემთ მათ, შევიდნენ საერთაშორისო ბაზარზე. სავაჭრო ბარიერების შემცირებასთან ერთად, მრავალმა ქვეყანამ პროგრესულად გააუქმა ბარიერებიც, რომლებიც ხელს უშლიდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ეს გადაწყვეტილებები აიოლებს როგორც ბაზრების, ასევე წარმოების გლობალიზაციის პროცესს. საერთაშორისო ბარიერების დეგრადირება კომპანიას საშუალებას აძლევს არ შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი ქვეყნით და გავიდეს საერთაშორისო ბაზარზე.

XX საუკუნის დასაწყისში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადი არა მარტო გაიზარდა, არამედ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ის უფრო სწრაფად ვითარდებოდა ვიდრე მსოფლიო ვაჭრობა. ბაზრის და პროდუქციის გლობალიზაცია, რომელიც შედეგად გვაძლევს მსოფლიო ვაჭრობის, უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისა და იმპორტის ზრდის ტენდენციას, გვიჩვენებს, რომ ფირმების ეროვნული ბაზრები ზეწოლას განიცდიან უცხოელი კონკურენტებისაგან. მსოფლიო ეკონომიკის ზრდადი ინტეგრაცია ერთი მთლიანი ბაზრის ჩამოსაყალიბებლად, ინტენსიურად ზრდის კონკურენციას წარმოებისა და მომსახურების სფეროებში.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელის შემშლელი ბარიერების შესუსტება არ შეიძლება ჩაითვალოს მუდმივ პროცესად, რადგან

პროტექციონიზმის მოთხოვნა ქვეყნის მიერ, კონკურენტების წინააღმდეგ, ჯერ მსოფლიოში კიდევ ხშირია. თუმცა 1920-30-იანი წლების სავაჭრო ბარიერების წინააღმდეგობრივი ხასიათის დაბრუნება არარეალურია.

ტექნოლოგიური ცვლილებები გლობალიზაციაში - ბაზრისა და პროდუქციის გლობალიზაციით სავაჭრო ბარიერების შეზღუდვა თეორიულად შესაძლებელია. ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, გლობალიზაციის დარგში შექმნა მნიშვნელოვანი და ხელშესახები რეალობა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ მსოფლიომ დაინახა მთავარი მიღწევები კომუნიკაციების, ტრანსპორტირების ტექნოლოგიაში, ინფორმაციის(რომელიც მოიცავს ინტერნეტს და მსოფლიო ქსელს) გადამუშავების სფეროებში.

ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინოვაცია არის მიკროპროცესორების განვითარება, რომელმაც წარმოუდგენლად გაზარდა ინფორმაციის გადაცემის სიმძლავრე. კომპიუტერიზაციის შედეგად გაიზარდა იმ ინფორმაციის მოცულობა, რომელიც შეიძლება დაამუშავოს ინდივიდუალურმა მომხმარებელმა თუ კომპანიამ. მიკროპროცესორების დანერგვა ასევე ხაზს უსვამს ტელეკომუნიკაციის ტექნოლოგიებში ბოლოდროინდელ უამრავ მიღწევას. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში სატელიტის, ფიბრო ოპტიკის, ინტერნეტის, მსოფლიო ფართო ქსელისა და ასევე ტალღური ტექნოლოგიების განვითარებამ გლობალური კომუნიკაციების რევოლუცია გამოიწვია. ეს ტექნოლოგიები ემყარება მიკროპროცესორებს იმისთვის, რომ დაშიფროს, გადასცეს და გაშიფროს დიდი რაოდენობით ის ინფორმაცია, რომელიც გადაიგზავნება ელექტრონული არხების მეშვეობით. მიკროპროცესორების ფასი თანდათან ეცემა, მაშინ როდესაც მათი სიმძლავრე იზრდება. ღია ბაზრების ფენომენს აძლიერებს ტექნოლოგიების სულ უფრო მეტი ციფრულობა. პრაქტიკულად მოქმედებს "მურის კანონი" - კომპიუტერული შესაძლებლობები ორმაგდება ყოველ 18 თვეში; კომპიუტერებთან დაკავშირებული ხარჯები ორჯერ მცირდება ყოველ 18 თვეში. როდესაც ეს ხდება, გლობალური კომუნიკაციების ღირებულება ეცემა, რაც შესაბამისად

გლობალური ორგანიზაციის კორდინაციისა და კონტროლის ფასს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ეკონომიკის სულ უფრო მეტი დიჯიტაცია ახდენს ხარჯების შემცირებას და მონაცემთა გადაცემის სიჩქარის ზრდას, რაც საერთოდ ხსნის გეოგრაფიულ ბარიერებს. ამდენად კომპანიების შესაძლებლობა მოახდინოს პერსონალის მართვა დიდ მანძილებზე მკვეთრად იზრდება. დღევანდელი ტექნოლოგიები (მართვის, კომუნიკაციური, ინფორმაციის დამუშავების, სამხედრო და ა.შ.) ისეთია, რომ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს დედამიწის ნებისმიერ კუთხეში შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა ტერიტორიაზე უშუალო სამხედრო თუ ადმინისტრაციული კონტროლის დამყარების გარეშე.

ინტერნეტისა და მასთან დაკავშირებული ფართო ქსელის(რომელიც იყენებს ინტერნეტს მსოფლიო ფართო ქსელთან კომუნიკაციისათვის) სწრაფი აღმავლობა არის ბოლო დროის განვითარების შედეგი. 1990 წელს 1 მილიონზე ნაკლები ადამიანი იყენებდა ინტერნეტს, 1995 წლისათვის კი ეს მაჩვენებელი 50 მილიონამდე გაიზარდა, 2008 წელს კი 945 მილიონი შეადგინა. 2015 წლისათვის ინტერნეტთან წვდომა 3,2 მილიარდ ადამიანს ჰქონდა. Facebook-ის შეფასებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა ყოველწლიურად 200-300 მლნ-ით იზრდებოდა. მიუხედავად აღნიშნული მაჩვენებლებისა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 4,1 მილიარდი ადამიანი ისევ ინტერნეტის გარეშეა დარჩენილი.

ინტერნეტმა და მსოფლიოს ფართო ქსელმა მიზნად დაისახა ინფორმაციის გლობალურ დონეზე განვითარება. ფორესტერის კვლევაზე დაყრდნობით, მსოფლიო ქსელზე დამყარებული ტრანზაქციების ღირებულება 2008 წელს 657 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 2010 წლისათვის ტრანზაქცია 6,8 ტრილიონ დოლარს შეადგენს,, სადაც გლობალურ ქსელზე დამყარებული ტრანზაქციების 47% აშშ-ზე მოდის.

ამ ტრანზაქციებიდან დიდი ხვედრითი წილი მოდიოდა არა ბიზნესსა და მომხმარებლებს შორის გარიგებებზე(ელექტრონული ვაჭრობა), არამედ ბიზნესსა და ბიზნესს შორის (ინტერნეტბიზნეს) გარიგებებზე. Web-ს ბიზნესგარიგებებისათვის ამჟამად უზარმაზარი

პოტენციალი გააჩნია. Web-ის მოცულობის გაფართოების შედეგად შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ვაჭრობის პროცენტული წილის ზრდა ელექტრონული ვაჭრობისა და ინტერნეტბიზნესის სახით. გლობალური თვალსაზრისით, Web გვევლინება, როგორც რამდენიმე საქმის ერთად შემსრულებელი. იგი აფართოებს ადგილმდებარეობას, პარამეტრებსა და დროის ზონებს. ქსელი ამარტივებს მყიდველებისა და გამყიდველების ურთიერთობის შესაძლებლობებს, მათი ადგილმდებარეობისაგან დამოუკიდებლად. ქსელი, როგორც მცირე, ასევე მსხვილ ბიზნესს სთავაზობს მოგების ზრდას უფრო უფრო დაბალი დანახარჯებით, ვიდრე ეს აქამდე ყოფილა. ინტერნეტის განვითარებამ არამარტო ბიზნესის გამარტივება გამოიწვია. მსოფლიოში ადამიანებს მიეცათ საშუალება გაეცნონ ერთმანეთის კულტურას, ისტორიას, ყოფას და ცხოვრებას, როგორც იტყვიან, სახლიდან გაუსვლელად.

ტრანსპორტირების ტექნოლოგიის განვითარება - კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების გარდა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ტრანსპორტირების ტექნოლოგიაში მნიშვნელოვანი ინოვაციები დაინერგა. ეკონომიკური ასპექტით, ყველაზე მნიშვნელოვანი არის საჰაერო ტრანსპორტის, კონტეინერიზაციის წინსვლა, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს ტვირთების გადატანას ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეში და ქვეყნიდან ქვეყანაში. სავაჭრო საჰაერო ტრანსპორტის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეამცირა სავაჭრო გადაზიდვების დრო და დანახარჯები. მგზავრობის დროის მხრივ, ნიუ იორკი „უფრო ახლოსაა“ ტოკიოსთან, ვიდრე ის იყო ფილადელფიასთან ამერიკის კოლონიზაციის პერიოდში.

კონტეინერიზაციამ ძირეული ცვლილებები მოახდინა გადაზიდვების ბიზნესში, მნიშვნელოვნად შეამცირა დიდ მანძილზე საქონლის ტრანსპორტირების დანახარჯები. კონტეინერიზაციის გამოჩენამდე საქონლის გადატანა ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეში მოითხოვდა დიდი ხნის ინტენსიურ და ძვირადღირებულ შრომას. ფართოდ გავრცელებული კონტეინერიზაციის მეშვეობით, 1970-იან და 1980-იან წლებში ტვირთების გადაზიდვის პროცესი საზღვაოსნო ტრანსპორტით შესაძლებელია, რამდენიმე დღეში შესრულდეს მინიმალური დანახარჯებით. 1980 წლიდან დღემდე მსოფლიოს

კონტეინერების ერთობლიობა ოთხჯერ გაიზარდა, ეს მაჩვენებელი კარგად ასახავს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის მოცულობას. კონტეინერიზაციის შედეგად, ტრანსპორტირების დანახარჯები მკვეთრად შემცირდა, დედამიწის გარშემო უფრო ეკონომიური გახადა საქონლის გადაგზავნა, ამასთანავე, ხელი შეუწყო ბაზრისა და პროდუქციის გლობალიზაციის გაფართოებას.

პროდუქციის გავრცელება გეოგრაფიულად განცალკევებულ ტერიტორიაზე უფრო ეკონომიური გახდა, რაც აისახება პროდუქციის გლობალიზაციაზე. ტრანსპორტირების დანახარჯები შემცირდა, შედეგად, ტექნოლოგიური ინოვაციები, ინფორმაციის გადამუშავებისა და კომუნიკაციის რეალური დანახარჯები ბოლო 10 წლის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა. ეს თვისებრივი სიახლეები შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს, პროდუქციის გლობალიზაციის მიზნით, შექმნან და მართონ გლობალური წარმოების სისტემა. მსოფლიოს გარშემო კომუნიკაციების ქსელი საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია. მაგალითად, კომპანია „დელი“ იყენებს ინტერნეტს გლობალურად განთავსებული წარმოების სისტემის კოორდინაციისა და კონტროლისათვის.

1.3 გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების მოკლე მიმოხილვა

ბაზრების გლობალიზაციისას, როდესაც ბიზნესსაქმიანობა სცილდება ეროვნულ საზღვრებს, ჩნდება მისი რეგულირებისა და კონტროლისათვის აუცილებელი ინსტიტუტების საჭიროება და გლობალური ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზნით, მათი დახმარებით მულტიეროვნული შეთანხმების დადების აუცილებლობა. ნახევარ საუკუნეზე მეტიხნის განმავლობაში, ამ ფუნქციის შესასრულებლად შეიქმნა მრავალი გლობალური ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტები თავიანთი მისიით გლობალური ეკონომიკური პროცესების დახვეწასა და ხელშეწყობას ემსახურებიან, რათა შემცირდეს ეკონომიკური კრიზისების ალბათობა და ხელი შეეწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას. გლობალურ ინსტიტუტებს მიეკუთვნება: მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ყველა ეს ინსტიტუტი შეიქმნა სახელმწიფოების ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე და მათი ფუნქციები განსაზღვრულია საერთაშორისო ოფიციალური შეთანხმებებით.

მსოფლიო ბანკის შექმნა გადაწყდა ბრეტონ-ვუდსში 1944 წელს, მაგრამ მუშაობა დაიწყო 1945 წლიდან. იგი გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა, მაგრამ მის წევრად მიიღებიან მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი სახელმწიფოები. ბანკში 180-ზე მეტი წევრია. მსოფლიო ბანკის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო და მის ოპერატიულ საქმიანობას ახორციელებს დირექტორატი. ბანკს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი.

პირველი სესხი ბანკმა მისცა საფრანგეთს 1947 წელს ომის შემდგომი რეკონსტრუქციისათვის (250 მილიონი აშშ დოლარი). ამ მიზნით სესხის გაცემა მას შემდეგ მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. მისი ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სიღარიბესთან ბრძოლა მთელს მსოფლიოში. მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიოს განვითარების ანგარიშს. საქართველო მსოფლიო ბანკის წევრია 1992 წლიდან.

ამჟამად ბანკში გაერთიანებულია ხუთი ინსტიტუტი:

● რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (International Bank for Reconstruction and Cooperation - IBRD);

● საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (International Development Association - IDA);

● საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (International Finance Corporation - IFC);

● მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო (Multilateral Investment Guarantee Agency – MIGA;

● ინვესტიციების სფეროში დავების მოსაგვარებელი საერთაშორისო ცენტრი (International Center for Settlement of International Disputes - ICSID).

2004 წელს მსოფლიო ბანკმა გასცა 20,1 მილიარდი აშშ დოლარი 245 პროექტის განსახორციელებლად, რომლებიც მიმართული იყო მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში სიღარიბესთან საბრძოლველად. ტექნიკურად მსოფლიო ბანკი გაეროს სისტემის ნაწილია, მაგრამ მისი მმართველობის სტრუქტურა განსხვავებულია. ბანკის წევრობა ხმის უფლებას ითვალისწინებს, მაგრამ ასევე არსებობს დამატებითი ხმის უფლება, რომელიც დამოკიდებულია ორგანიზაციაში ფინანსური კონტრიბუციის ოდენობაზე. შესაბამისად ბანკი ძირითადად კონტროლდება განვითარებული სახელმწიფოების მიერ, მაშინ როცა მისი ძირითადი კლიენტები არიან განვითარებადი სახელმწიფოები. 2004 წლის ნოემბრის მონაცემებით, აშშ-ს გააჩნდათ ხმების მთლიანი რაოდენობის 16,4%, იაპონიას - 7,9%, გერმანიას - 4,5% და დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს თანაბრად 4,3%. ვინაიდან სერიოზული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ხმათა 85%, აშშ-ს შეუძლიათ დაბლოკონ ნებისმიერი ცვლილება. კრიტიკოსების აზრით, საჭიროა ბანკის მმართველობის არსებული სტრუქტურის შეცვლა, რათა უკეთ იყოს გათვალისწინებული განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესები და მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები მათივე აქტიური მონაწილეობით წყდებოდეს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) შექმნის შეთანხმება მიღწეულ იქნა ბრეტონ ვუდის კონფერენციაზე, 1944 წლის 22 ივლისს, როგორც ომისშემდგომი რეკონსტრუქციის გეგმის ნაწილი. მისი შექმნის ინიციატორები იყვნენ გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი და შეერთებული შტატების ხაზინის მდივანი ჰარი დექსტერ უაიტი.

შეთანხმება ძალაში შევიდა 1945 წლის 27 დეკემბრიდან, ხოლო ორგანიზაციამ არსებობა, როგორც ომისშემდგომი რეკონსტრუქციის გეგმის ნაწილმა, დაიწყო 1946 წლის მაისიდან, თავისი პირველი ფინანსური ოპერაცია კი 1947 წლის 1 მარტს განახორციელა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი არის საერთაშორისო ორგანიზაცია 184 წევრი სახელმწიფოთი (მათ შორის საქართველოც), რომელიც შეიქმნა საერთაშორისო მონეტარული თანამშრომლობის, გაცვლითი კურსის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით და მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს წევრი ქვეყნებისთვის დროებითი ფინანსური დახმარების გაწევა საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით.

IMF-ი ძირითადად კონცენტრირებულია წევრი ქვეყნების მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც მოიცავს ერთობლივ დანახარჯებს, შემოსავალს, დასაქმების დონეს, ინფლაციის დონესა და ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს.

თავისი არსით, IMF-ი არ არის ბანკი რომელიც გასცემს გრძელვადიან კრედიტებს, არამედ მას გააჩნია სავალუტო სახსრები, რომელიც წევრმა ქვეყნებმა შეიძლება ისესხონ, რათა მოახდინონ საკუთარი სავალუტო ერთეულის სწრაფი სტაბილიზაცია. IMF-ს ყველა სესხი უნდა დაიფაროს 5 წლის განმავლობაში.

IMF-ის მიზნები შემდეგია:

- ხელი შეუწყოს საერთაშორისო მონეტარულ კოოპერაციას მუდმივი ინსტიტუტების მეშვეობით, რომლებიც გასცემენ კონსულტაციებს და თანამშრომლობენ საერთაშორისო მონეტარულ პრობლემებზე.

- ხელი შეუწყოს გაცვლითი კურსის სტაბილურობას, გაცვლით კურსზე შეთანხმების მიღწევას და არ დაუშვას კონკურენტული გაცვლითი კურსის არსებობა წევრ ქვეყნებს შორის.

- ხელი შეუწყოს გადახდის მულტილატერალური (მრავალმხრივი) სისტემის დანერგვას.

- მოიპოვოს წევრი ქვეყნების ნდობა, რათა მიიღოს ფონდის ძირითადი რესურსები, რომლის გამოყენების უფლებაც შეიძლება დროებით გადაეცეს წევრ ქვეყნებს, გარკვეული გარანტიის სანაცვლოდ, რათა მათ გამოასწორონ საგადამხდელო ბალანსი იმ ღონისძიების გაუტარებლად, რაც შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს მათი ეკონომიკისათვის.
- ზემოთქმულიდან გამომდინარე შეამციროს წევრი ქვეყნების საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსის უთანასწორობის ხარისხი.

ფონდი თავისი ყველა გადაწყვეტილების მიღებისას, ვალდებულია იხელმძღვანელოს ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებით.

IMF ეხმარება თავის წევრ ქვეყნებს შემდეგი მეთოდებით:

- ნაციონალური და გლობალური ეკონომიკისა და ფინანსური განვითარების გადახედვა, მონიტორინგი და წევრებისათვის რჩევის მიცემა ეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე;

- ასესხებს მათ მყარ ვალუტას რათა ხელი შეუწყოს პოლიტიკის დარეგულირებასა და რეფორმას, რათა გამოასწოროს საგადამხდელო ბალანსი და დაეხმაროს ეკონომიკური ზრდის მიღწევაში;

- სთავაზობს ტექნიკური დახმარების ფართო სპექტრს, როგორიცაა მაგალითად მთავრობისა და ცენტრალური ბანკის წარმომადგენლებისთვის ტრეინინგების ჩატარება მათი კომპეტენციის სფეროში.

IMF ანგარიშვალდებულია თავისის წევრი ქვეყნებისადმი, რაც ხელს უწყობს მის ეფექტიან მუშაობას. დღესდღეობით IMF-ს საქმიანობა იმართება აღმასრულებელი საბჭოს მიერ (Executive Board), რომელიც შედგება IMF-ს 184 წევრი ქვეყნის წარმომადგენლებისგან, და

საერთაშორისო სტაფისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი (Executive Director) და მისი 3 მოადგილე. მმართველი გუნდის ყოველი წევრი სხვადასხვა რეგიონიდან არის. IMF-ს საქმიანობის წარმართვა მათ აღმასრულებელ საბჭოს დელეგირებული აქვს მმართველთა საბჭოდან (Board of Governors).

მმართველთა საბჭო, თავისმხრივ, წარმოადგენს უმაღლეს მმართველ რგოლს IMF-ში. როგორც წესი, შეხვედრები ხდება წელიწადში ერთხელ, IMF-სა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ შეხვედრაზე. ყოველი წევრი ნიშნავს ერთ მმართველს - როგორც წესი ესენია წევრი ქვეყნის ფინანსთა მინისტრი ან ცენტრალური ბანკის მმართველი. მმართველთა საბჭო წყვეტს ძირითადი პოლიტიკის საკითხებს, რომელთა აღსრულება დელეგირდება აღმასრულებელ საბჭოზე.

საერთაშორისო მონეტარულ საკითხებს იხილავენ წელიწადში 2-ჯერ საერთაშორისო მონეტარულ და ფისკალურ კომიტეტში. მსოფლიო ბანკისა და IMF-ს საზიარო კომიტეტი - განვითარების კომიტეტი კი კურირებს განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მმართველთა საბჭო შედგება 24 მმართველი დირექტორისგან.

ნებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება მოითხოვოს IMF-ის წევრობა. განაცხადს თავდაპირველად იხილავს IMF-ის აღმასრულებელი საბჭო. განხილვის შემდგომ საბჭო ამზადებს მოხსენებას IMF-ის მმართველთა საბჭოსათვის, რომელთაც ურთავს რეკომენდაციებს «წევრობის რეზოლუციის» ფორმით. ეს რეკომენდაციები მოიცავს IMF-ში კვოტის რაოდენობას, საწევრო შენატანების გადახდის ფორმებსა და წევრობის სხვა პირობებს. მას შემდეგ, რაც მმართველთა საბჭო დაამტკიცებს წევრობის რეზოლუციას, განმცხადებელმა ქვეყანამ საკუთარი კანონმდებლობის ფარგლებში უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც მას მისცემს IMF-ის შეთანხმების ტრაქტატის (article of agreement) რატიფიცირებისა და მისი წევრობის ვალდებულებების შესრულების საშუალებას. საწევრო კვოტით განისაზღვრება შენატანების რაოდენობა, მისი ხელმისაწვდომობა IMF-ის ფინანსებზე და მისი SDR-ების ალოკაციის რაოდენობა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) შეიქმნა 1995 წლის 1 იანვრიდან ურუგვაის რაუნდის შეთანხმების საფუძველზე. მის შექმნას წინ უძღვოდა ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება (GATT), რომელიც დაიდო 1947 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1948 წლიდან. მისი მიზანი იყო წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა, რაც გამოიხატა ტარიფების რეგულირებისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებების წარმოებაში. მისი მიზანია შეამციროს საერთაშორისო ვაჭრობაში სატარიფო და არასატარიფო ბარიერები. ტარიფების შემცირება ნაბიჯ-ნაბიჯ, 8 რაუნდად მიმდინარეობდა. საბოლოოდ გადაწყდა შექმნილიყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.

ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების წესების გაძლიერება და მსო-ს შექმნა უფრო ეფექტური პოლიტიკის გატარების იმედს იძლეოდა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მოქმედებს, როგორც ყოვლისმომცველი ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების და მისი ტიპის კიდევ ორ ორგანოს(მომსახურებასა და ინტელექტუალურ საკუთრევაზე). მსო-ს გენერალურმა შეთანხმებამ მომსახურებით ვაჭრობაზე აიღო ინიციატივა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები გავრცელებულიყო მომსახურებაზე. მსო-ს შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებულ ინტელექტუალურ საკუთრებათა უფლებებზე არის იმის მცდელობა, რომ აღმოიფხვრას დარღვევები ინტელექტუალურ საკუთრებათა უფლებების დაცვის სფეროში და მოექცეს საერთაშორისო წესების ქვეშ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ხელს უწყობს სავაჭრო ბარიერების შემცირებას. მსო-ს სამი ძირითადი მიზანია: თავისუფალი ვაჭრობის განვითარება, ბაზრების შემდგომი გახსნის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება, სავაჭრო დავების გადაწყვეტის მექანიზმის შემუშავება.

მსო-მ თავის თავზე აიღო სავაჭრო დაპირისპირებების გაკონტროლება და სავაჭრო პოლიტიკისათვის თვალ-ყურის დევნება წევრ ქვეყნებში.

მსო-ს მთავარი ამოცანაა შექმნას ნორმალური სავაჭრო ურთიერთობები წევრ სახელმწიფოებს შორის. წევრი სახელმწიფოები ერთმანეთთან ვაჭრობაში იყენებენ ერთიან უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო რეჟიმს (MFN). ასევე მიზანშეწონილად იქნა

მიჩნეული არაკეთილსიNდისიერი სავაჭრო პრაქტიკის აღმოხვრა. ასეთ პრაქტიკად მიჩნეული იქნა პროდუქციის გაყიდვა დემპინგურ ფასებში. დემპინგი არის პროდუქციის გაყიდვა იმ ფასად, რომელიც ნაკლებია შიდა ბაზარის ფასზე ან ხარჯებზე. ანტი-დემპინგური გადასახადი კი დამატებითი გადასახადია იმპორტზე დემპინგის ფაქტის დადგენის შემთხვევაში.

ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია წევრ სახელმწიფოებს სთავაზობს სპეციალურ სტრუქტურას დავების განხილვის საბჭოს, სადაც საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული დავები განიხილება ამ ორგანიზაციის დებულების მიხედვით. იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც დაარღვევენ მსო-ს წესებს, გატარდება სადამსჯელო ღონისძიებები, რაც შეიძლება იყოს კომპენსაცია სავაჭრო პარტნიორების მიმართ ან უკიდურეს შემთხვევაში იძულებითი (შესაბამისი) სავაჭრო სანქციები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) , რომელიც ერთის მხრივ სავაჭრო ბარიერების მოხსნის მოწოდებით გამოდის, თუმცა მეორეს მხრივ ვერ ახერხებს ყველაზე დიდი "მოვაჭრეების" – ევროპის (რომელი ერთ მთლიან სუბიექტადაა წარმოდგენილი), აშშ-ს, კანადისა და იაპონიის იძულებას ბოლომდე გახსნან საკუთარი ბაზრები სხვა ქვეყნებისთვის. პირიქით, ცნობილია ფაქტები, როდესაც ეს ქვეყნები აქტიურად იცავდნენ თავს ახალი კონკურენტების "თავდასხმებისგან". თუმცა მათ გასამართლებელ არგუმენტად ისიც შეიძლება მოვიყვანოთ, რომ არ სურთ უხარისხო პროდუქცია, რომელიც ხშირად განვითარებად ქვეყნებში იწარმოება, შევიდეს მათ ბაზარზე. ნებისმიერ შემთხვევაში უმჯობესია "ჩამორჩენილმა" ქვეყნებმა ისევ საკუთარი განვითარებისთვის, იზრუნონ ვიდრე სხვათა იძულებისთვის.

თავი 2

გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში

2.1 მსოფლიო ბანკის საქმიანობა საქართველოში

შეიქმნა რა მეორე მსოფლიო ომის დროს ბრეტონ-ვუდსში (მისი პირველი პრეზიდენტი იყო **Eugene Meyer, 1875-1959**) მსოფლიო ბანკი თავისი არსებობის საწყის ეტაპზე ახდენდა ომისშემდგომი ევროპის აღდგენას. 1947 წელს მის მიერ გაცემული პირველი სესხი, რომელიც განკუთვნილი იყო საფრანგეთის რეკონსტრუქციისთვის შეადგენდა 250 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. რეკონსტრუქცია რჩება ბანკის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად. ეს საქმიანობა საშუალებას აძლევს გადაწყვიტოს ისეთი ამოცანები, როგორიცაა სტიქიის შემდგომი გაჭირვების ლიკვიდაცია, ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა საჭირო შემთხვევებში და პოსტკონფლიქტური აღდგენა, ამოცანები რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის.

დღეისათვის მსოფლიო ბანკი წარმოადგენს განვითარების მიზნით ერთ-ერთ მსხვილ დახმარების წყაროს მსოფლიოში. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის უღარიბესი ჯგუფებისა და ქვეყნების დახმარება.

1980 წელს კრედიტების 21-25%-ით ფინანსდებოდა ელექტროენერგეტიკის სექტორი. დღეისთვის ეს მაჩვენებელი შემცირებულია 7-25%-მდე. ამავე დროს, რესურსების მოცულობა ისეთი სოციალური მომსახურების სფეროებში, როგორიცაა: ჯანდაცვა, განათლება, საპენსიო უზრუნველყოფა და სხვა, გაიზარდა 5-25%-დან (1980წ.) 22-25%-მდე. მსოფლიო ბანკს, რომლის წევრსაც შეადგენს 184 ქვეყანა, აქვს ახალი მიდგომა განვითარების პროცესთან მიმართებაში, ახალი ამოცანების გადაწყვეტაში, მათ შორის გენდერული განვითარების ამოცანების, ერთობლივი ძალების განვითარებაში, ადგილობრივი ერების პრობლემებში,

ასევე ღარიბი მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის განვითარების ძალისხმევაში.

მსოფლიო ბანკის ძირითადი მიმართულებები:

1. მსოფლიო ბანკი წარმოადგენს განათლების ფინანსირების უმსხვილეს საერთაშორისო წყაროს;

2.მსოფლიო ბანკი წარმოადგენს აივ/შიდსის-წინააღმდეგ ბრძოლის ფინანსირების უმსხვილეს საერთაშორისო წყაროს;

3.მსოფლიო ბანკი წარმოადგენს ჯანდაცვის პროგრამების ფინანსირების უმსხვილესსაერთაშორისო წყაროს;

4. მსოფლიო ბანკი აქტიურად ხელს უწყობს დავალიანების ტვირთის შემსუბუქებას;

5. მსოფლიო ბანკი წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების დაცვის პროგრამის ფინანსირების ერთ-ერთ უმსხვილეს საერთაშორისო წყაროს;

6.მსოფლიო ბანკი ისე როგორც არასდროს აქტიურად ურთიერთობს თავის პარტნიორებთან;

7.მსოფლიო ბანკი თამაშობს წამყვან როლს კორუფციასთან ბრძოლაში საერთაშორისო მასშტაბით;

8. სამოქალაქო საზოგადოება სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო ბანკის საქმიანობაში;

9.მსოფლიო ბანკი ეხმარება ქვეყნებს, რომლებმაც გადაიტანეს შეიარაღებული კონფლიქტები;

10. მსოფლიო ბანკი რეაგირებს ღარიბი მოსახლეობის საჭიროებებზე.

[3]მსოფლიო ბანკის ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარე, მისი მოღვაწეობა საქართველოში შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

- მსოფლიო ბანკი საქართველოს განათლების სისტემის რეფორმაში ეხმარება;
- მსოფლიო ბანკი საქართველოს დამოუკიდებელი და პროფესიული სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებაში ეხმარება;
- მსოფლიო ბანკი საქართველოს ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებაში ეხმარება;
- მსოფლიო ბანკი საქართველოს ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესებაში ეხმარება;
- მსოფლიო ბანკი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რეფორმის განხორციელებაში ეხმარება;
- მსოფლიო ბანკი საქართველოს გარემოს დაცვაში ეხმარება;
- მსოფლიო ბანკი საქართველოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და კერძო სექტორის განვითარებაში ეხმარება;
- მსოფლიო ბანკი საქართველოს ბუნებრივი რესურსების მართვაში ეხმარება;
- მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული ანალიტიკური სამუშაო და მეცნიერული კვლევა საქართველოში მიმდინარე რეფორმის საინფორმაციო უზრუნველყოფას ემსახურება;

[3] ე.კვანტალიანი-მსოფლიო ბანკი და საქართველო/World Bank And Georgia -2015 წელი

- მსოფლიო ბანკი ისწრაფვის საქართველოში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

საქართველო მსოფლიო ბანკს 1992 წელს შეუერდა, საერთაშორისო განვითარების ასოციაციას კი 1993 წელს. საქართველო ერთ-ერთი „მსუბუქ წონიანი“ სახელმწიფოა მსოფლიო ბანკში. მისი ხმის „წონა“ 0.11%წარმოადგენს. საქართველოს გაწევრიანების შემდეგ მსოფლიო ბანკმა 50-ზე მეტი პროექტი დააფინანსა. დაფინანსების მთლიანმა თანხამ 1.68 მილიარდი დოლარი შეადგინა საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების ,გრანტების და რეკონსტრუქციისა დ აგანვითარების საერთაშორისო ბანკის სესხების სახით, რომელთა დაახლოებით 90 პროცენტი უკვე გადარიცხულია. მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი დაფინანსების 67% საინვესტიციო პროექტებზე მოდის, 33% კი განვითარების პოლიტიკის ღონისძიებების ფარგლებში ბიუჯეტისათვის გაწეული დახმარებაა.

საქართველომ ყველაზე დიდი დაფინანსება მსოფლიო ბანკისგან 2010-2013 ფისკალურ წლებში მიიღო. დაფინანსება 650 მლნ დოლარს აღმატებოდა.დაფინანსების შედეგად განხორციელდა შემდეგი პროექტები: 600 კილომეტრზე მეტი გზის რეაბილიტაცია; შეიქმნა სამუშაოა ადგილების დაახლოებით 20,000 კაც– დღე; გაუმჯობესდა ბაზრებთან და სოციალური მომსახურების ცენტრებთან მისასვლელი გზები; აშენდა შვიდი ახალი სკოლა, სადაც 4150 მოსწავლე სწავლობს და 300 მასწავლებელი მუშაობს; გარდა ამისა მსოფლიო ბანკმა 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის შედეგად დაზარალებული 30,000 იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გამოყო კრედიტი ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შესაქმენად.

მსოფლიო ბანკი დღესაც აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან. 2015 წლის აპრილ-მაისში აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა პროექტის დაფინანსება.

ეს პროექტებია:

- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (ავტო-ბანის) კეთილმოწყობის I ,II ,III პროექტი, დაფინანსდა 184.12 მლნ დოლარით 2007-2009 წლები.
- რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტუქტურის განვითარების პროექტი, დაფინანსდა 85 მლნ დოლარით 2008 წელს. პროექტი დასრულდა 2013 წლის 30 ივნისს.
- კახეთის რეგიონული გზების კეთილმოწყობის პროექტი 30 მლნ დოლარით 2009 წლის დეკემბერში. პროექტი დასრულდა 2013 წლის ივნისში
- განვითარების პოლიტიკის ღონისძიებები, დაფინანსდა175 მლნ დოლარით 2009 წელს.პროექტი დასრულდა 2011 წლის 31 მარტს

გარდა ამისა მსოფლიო ბანკის მნიშვნელოვანმა სტუქტურებმა, როგორიცაა საერთაშორისო განვითარების ასოციაცია და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა დააფინანსა კიდევ რამდენიმე პროექტი რომელიც საქართველოს მთავრობის მიერაა განხორციელებულა. მათ შორის არის:

- რეგიონალური განვითარების პროექტი, რომელიც დაფინანსდა 60 მლნ დოლარით 2012 წლის 20 მარტს. პროექტის დასრულების თარიღად მიჩნეულია 2016 წლის 31 დეკემბერი
- შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი,რომელიც დაფინანსდა 2012 წელს 70 მლნ დოლარით. პროექტის დასრულების თარიღად მიჩნეუილია2017 წლის 30 ივნისი.

როგორც განვითარებადი სახელმწიფო, საქართველო იძულებულია აიღოს კრედიტები მსოფლიოს სხვადასხვა სტუქტურებისა თუ მეგობარი სახელმწიფოებისაგან, რათა მოახერხოს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ინფრასტრუქტურული განვითარება. დღევანდელი მონაცემებით საქართველოს მსოფლიოს მაშტაბით 11-ზე მეტი „მევალე“ ჰყავს. მათ შორის კი შეღავათიანი სესხების გაცემის კუთხით მსოფლიო ბანკი საქართველოს უდიდესი კრედიტორი ინსტიტუტია.

საქართველოს საგარეო ვალის 40 % მსოფლიო ბანკის კრედიტები წარმოადგენს, დანარჩენი კი ნაწილდება:

- ევროობლიგაციები 21%
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი 10%
- გერმანია 8%
- ევროკავშირი 4 %
- აშშ 2%
- თურქეთი 2%
- იაპონია 2%
- EBRD1%
- IFAD0.5%
- სხვა 9.5%

2017 წელს მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოს მთავრობის ეკონომიკური რეფორმების პროგრამის მხარდასაჭერად 47.2 მლნ ევროს ოდენობის სესხი დაამტკიცა. ამის შესახებ ნათქვამია მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაში.

ეს საქართველოსთვის გათვალისწინებული ინკლუზიური ზრდის პროგრამული განვითარების პოლიტიკის მეორე ღონისძიებაა (DPO2), რომელიც მხარს უჭერს ქვეყნის ეკონომიკური რეფორმების პროგრამას.

მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, დაფინანსება განხორციელდება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) მოქნილი სესხით, რომლის მოცულობა 47.2 მლნ ევროს შეადგენს.

მსოფლიო ბანკი საქართველოს სასესხო ხელშეკრულებით 90 მლნ ევროს და 62 მლნ დოლარს გადასცემს.

თანხა განათლებისა და ენერგეტიკის სექტორებში დაიხარჯება. კერძოდ, 90 მილიონი ევრო "ინოვაციების ინკლუზიური განათლების და ხარისხის" პროექტის განსახორციელებლად მიიმართება.

განათლების სექტორში გამოყოფილი თანხის დაახლოებით 70% ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მოხმარდება, მათ შორის ახალი სკოლების მშენებლობას და ძველი სასწავლო დაწესებულებების რეაბილიტაციას. რაც შეეხება 62 მილიონ ამერიკულ დოლარს, ეს თანხა რამდენიმე პროექტს მოხმარდება, მათ შორის ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის გაძლიერებას, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ფინანსურ გაჯანსაღებას და კაპიტალის ბაზრებთან წვდომის მოსამზადებელი სამუშაოების მხარდაჭერას.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით 17.8 მლრდ აშშ დოლარი (48.0 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 110.1 პროცენტია.

2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 10.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო საგარეო ვალი 5.6 მლნ აშშ დოლარით, ფასის ცვლილებების გამო - 50.2 მლნ. აშშ დოლარით და სხვა ცვლილებების გამო - 23.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ამავდროულად, საკურსო ცვლილებების გამო ვალი 69.1 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა.

სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 7.4 მლრდ აშშ დოლარი (20.0 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 45.9 პროცენტია, რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 5.4 მლრდ აშშ დოლარი (14.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 33.1 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 376.4 მლნ აშშ დოლარი (1.0 მლრდ ლარი; მშპ-ს 2.3 პროცენტი),

ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები, შესაბამისად, 810.3 მლნ აშშ დოლარი (2.2 მლრდ ლარი; მშპ-ს 5.0 პროცენტი) და 886.2 მლნ აშშ დოლარი (2.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 5.5 პროცენტი).

საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 4.2 მლრდ აშშ დოლარი (11.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 26.2 პროცენტი), სხვა სექტორების საგარეო ვალმა - 5.4 მლრდ აშშ დოლარი (14.7 მლრდ ლარი; მშპ-ს 33.6 პროცენტი) და კომპანიათაშორისო ვალმა - 2.4 მლრდ აშშ დოლარი (6.5 მლრდ ლარი; მშპ-ს 14.9 პროცენტი). მთლიანი საგარეო ვალის 89.7 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით.

საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა, 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, 10.4 მლრდ აშშ დოლარი (28.1 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 64.4 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3.9 მლრდ აშშ დოლარია (10.6 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 24.2 პროცენტია.

2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 7.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო გამო ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულებები 8.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, ხოლო საკურსო ცვლილების გამო, ვალი 0.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. 2019 წლის პირველი კვარტალის ბოლოს ეროვნული ბანკის მთლიანმა ვალდებულებებმა 376.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, 200.2 მლნ აშშ დოლარი განაწილებული ნასესხობის სპეციალური უფლებაა (ნსუ)1, რომელსაც არ აქვს დაფარვის ვადა და პრაქტიკულად, მისი გადახდის ვალდებულება არ დადგება, სანამ საქართველო იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი.

2.2 საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა საქართველოში

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნის შეთანხმება მიღწეულ იქნა ბრეტონ ვუდის კონფერენციაზე, 1944 წლის 22 ივლისს, როგორც ომისშემდგომი რეკონსტრუქციის გეგმის ნაწილი. მისი შექმნის ინიციატორები იყვნენ გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი და შეერთებული შტატების ხაზინის მდივანი ჰარი დექსტერ უაიტი. შეთანხმება ძალაში შევიდა 1945 წლის 27 დეკემბრიდან, ხოლო ორგანიზაციამ არსებობა, როგორც ომისშემდგომი რეკონსტრუქციის გეგმის ნაწილმა, დაიწყო 1946 წლის მაისიდან, თავისი პირველი ფინანსური ოპერაცია კი 1947 წლის 1 მარტს განახორციელა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი არის საერთაშორისო ორგანიზაცია 189 წევრი სახელმწიფოთი -2017 წლის მარტის მონაცემებით (მათ შორის საქართველოც), რომელიც შეიქმნა საერთაშორისო მონეტარული თანამშრომლობის, გაცვლითი კურსის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით და მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს წევრი ქვეყნებისთვის დროებითი ფინანსური დახმარების გაწევა საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით.

IMF-ი ძირითადად კონცენტრირებულია წევრი ქვეყნების მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც მოიცავს ერთობლივ დანახარჯებს, შემოსავალს, დასაქმების დონეს, ინფლაციის დონესა და ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს.

IMF-ი ყურადღებას ამახვილებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემდეგ ასპექტებზე:

- საბიუჯეტო პოლიტიკა - არგებლის განაკვეთთან დაკავშირებული ღონისძიებები;
- ფულადი-საკრედიტო პოლიტიკა - გაცვლითი კურსის დონე და ფინანსურ სექტორთან დაკავშირებული ღონისძიებები;
- სხვა პოლიტიკები - როგორიცაა ბანკების რეგულირება, ზედამხედველობა და სხვა.

IMF-ი აგრეთვე ყურადღებას აქცევს სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელიც მოიცავს შრომის ბაზართან დაკავშირებულ ღონისძიებებს. სსფ თითოეულ წევრს აძლევს რჩევას, თუ როგორ

შეიძლება მათ მიერ არჩეული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესება, რათა უფრო ეფექტიანად იქნეს მიღწეული ისეთი მიზნები, როგორიცაა დასაქმების მაღალი დონე, დაბალი ინფლაცია და ეკონომიკური ზრდა.

თავისი არსით, IMF-ი არ არის ბანკი რომელიც გასცემს გრძელვადიან კრედიტებს, არამედ მას გააჩნია სავალუტო სახსრები, რომელიც წევრმა ქვეყნებმა შეიძლება ისესხონ, რათა მოახდინონ საკუთარი სავალუტო ერთეულის სწრაფი სტაბილიზაცია. IMF-ს ყველა სესხი უნდა დაიფაროს 5 წლის განმავლობაში.

IMF-ის მიზნები შემდეგია:

- ხელი შეუწყოს საერთაშორისო მონეტარულ კოოპერაციას მუდმივი ინსტიტუტების მეშვეობით, რომლებიც გასცემენ კონსულტაციებს და თანამშრომლობენ საერთაშორისო მონეტარულ პრობლემებზე.
- ხელი შეუწყოს გაცვლითი კურსის სტაბილურობას, გაცვლით კურსზე შეთანხმების მიღწევას და არ დაუშვას კონკურენტული გაცვლითი კურსის არსებობა წევრ ქვეყნებს შორის.
- ხელი შეუწყოს გადახდის მულტილატერალური (მრავალმხრივი) სისტემის დანერგვას.
- მოიპოვოს წევრი ქვეყნების ნდობა, რათა მიიღოს ფონდის ძირითადი რესურსები, რომლის გამოყენების უფლებაც შეიძლება დროებით გადაეცეს წევრ ქვეყნებს, გარკვეული გარანტიის სანაცვლოდ, რათა მათ გამოასწორონ საგადამხდელო ბალანსი იმ ღონისძიების გაუტარებლად, რაც შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს მათი ეკონომიკისათვის.
- ზემოთქმულიდან გამომდინარე შეამციროს წევრი ქვეყნების საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსის უთანასწორობის ხარისხი.

ფონდი თავისი ყველა გადაწყვეტილების მიღებისას, ვალდებულია იხელმძღვანელოს ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებით.

სპეციალური სასესხო უფლებები (SDR - special drawing right), არის საერთაშორისო სარეზერვო აქტივები, რომლებიც IMF-მ შეიმუშავა 1969 წელს იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ მიმდინარე ფულადი აქტივები და მათი შესაძლო ზრდა არ იქნებოდა საკმარისი მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ხელშეწყობისთვის. იმ დროისთვის ძირითადი რეზერვები იყო ოქრო და აშშ დოლარი, შესაბამისად SDR წარმოდგენილი იყო, როგორც დამატებითი სარეზერვო აქტივი, რომელიც IMF-ს შეეძლო პერიოდულად განეთავსებინა წევრებში, როდესაც ამის საჭიროება იყო, და გაეუქმებინა საჭოროები მიხედვით.

SDR-ს ქაღალდის ოქროსაც უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ფიზიკური ფორმა არ გააჩნიათ ისინი გადაეცემათ წევრ ქვეყნებს, როგორც მათი ქვოტის პროცენტი. ასე მაგალითად, IMF-მა თავისი საქმიანობის მანძილზე განათავსა 21,4 მილიარდი SDR-ს წევრ ქვეყნებში.

განვითარებადი ქვეყნებისთვის, ისევე როგორც საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, სავალუტო ფონდი მნიშვნელოვანი პარტნიორო ორგანიზაციაა. საქართველოსთვის, გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში სავალუტო ფონდის რეკომენდაციებმა, მიუხედავად შემდგომ პერიოდში გამოვლენილი ხარვეზებისა, მნიშნელოვანი როლი შეასრულეს.

2018 წლის ოქტომბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერილი პროგრამის მესამე მიმოხილვა წარმატებით დასრულდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდსა (IMF) და საქართველოს ხელისუფლებას შორის მიღწეულია შეთანხმება საქართველოში მიმდინარე „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით" მხარდაჭერილი პროგრამის მესამე მიმოხილვის წარმატებით დასრულების შესახებ. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით" მხარდაჭერილი პროგრამის მიმდინარეობა, 2018 წლის ფისკალური მაჩვენებლები,

ქვეყანასა და რეგიონში არსებული ეკონომიკური ტენდენციები და 2019 წლის ბიუჯეტის ძირითადიპარამეტრები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელის თქმით, სტრუქტურული რეფორმების შედეგად, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება. ფონდი მიიჩნევს, რომ რეფორმების პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს და მესამე მიმოხილვის დასასრულებლად საჭირო კრიტერიუმების უმრავლესობა შესრულებულია. მისიის ხელმძღვანელის განცხადებით, სახელისუფლებლო რეფორმების გეგმის განუხრელი შესრულება უმნიშვნელოვანესია მაღალი და მეტად ინკლუზიური ზრდის მისაღწევად. როგორც მერსედეს ვერა მარტინმა მთავრობის მეთაურთან გამართული შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, პროგრამა მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების ამბიციური რეფორმების გეგმას.

„საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ პროგრამის მესამე მიმოხილვა წარმატებით დაასრულა. შეთანხმება მიმდინარე წლის დეკემბერში დასამტკიცებლად წარედგინება IMF-ის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს. მიმოხილვის დასრულების შემდეგ კი, საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდება, დაახლოებით 41, 6 მლნ აშშ დოლარი. ჩვენი მიმოხილვის თანახმად, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილურია, ინკლუზიური და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის მთავრობას ნაკისრი აქვს პასუხისმგებლობა და ვალდებულება, განახორციელოს სტრუქტურული რეფორმები. ინფლაცია სამიზნე ორიენტირის ფარგლებშია. მაკროეკონომიკური პოლიტიკა მდგრადია და გონივრული. იმედი გვაქვს, „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის" ფარგლებში მესამე მიმოხილვა ხელს შეუწყობს ქვეყნის შემდგომ განვითარებას,"- აღნიშნა მერსედეს ვერა მარტინმა. როგორც ფინანსთა მინისტრმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, სავალუტო ფონდმა მთავრობის მიერ განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს მაღალი შეფასება მისცა. „წარმატებით დასრულდა მესამე მიმოხილვა იმ პროგრამისა, რომელსაც საქართველოს მთავრობა და საერთაშორისო სავალუტო ფონდი ერთად ახორციელებენ. ეს ნიშნავს, რომ

პრაქტიკულად ჩვენ შევთანხმდით ყველა ძირითად მაჩვენებელზე, რომლის საფუძველზეც მომდევნო წლისთვის დაიგეგმება ჩვენი ეკონომიკური სტრატეგია, ასევე, ბიუჯეტის პარამეტრები - იქნება ეს დეფიციტის მაჩვენებელი თუ ეკონომიკური ზრდის ტემპი. მართალია, მიმოხილვის შედეგად, ეკონომიკური ზრდის პროგნოზში უმნიშვნელო შერბილება არის, თუმცა, მიუხედავად ამისა, სავალუტო ფონდმა მაინც ძალიან მაღალი შეფასება მისცა მიმდინარე რეფორმებს. მიუხედავად პოლიტიკური კონტექსტისა, ეს რეფორმები უნდა გაგრძელდეს. ზუსტად ეს რეფორმები არის მყარი გარანტი იმისა, რომ საქართველო როგორც საშუალოვადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, იქნება რეგიონში ყველაზე მდგრადი ეკონომიკის ქვეყანა,"- განაცხადა ივანე მაჭავარიანმა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში 17 ოქტომბრიდან იმყოფებოდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს ეკონომიკური პროგრამის მეოთხე მიმოხილვა დაასრულა. ფონდის დირექტორთა საბჭომ საქართველოსთვის 41.4 მილიონი დოლარის გამოყოფას მხარი დაუჭირა. შესაბამისი პრესრელიზი ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

[4]თანხას საქართველო სამწლიანი პროგრამის „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით" ფარგლებში მიიღებს. ფონდი საქართველოს ეკონომიკურ მაჩვენებელს დადებითად აფასებს. „ეკონომიკის ზრდის ტემპი მდგრადია, ინფლაცია კონტროლს ექვემდებარება, ხოლო საგარეო ფაქტორების მიმართ ქვეყნის მოწყვლადობა შემცირებულია. თუმცა ქვეყნის ხელისუფლება მზად უნდა იყოს, გაუმკლავდეს საგარეო ვითარების შესაძლო უარყოფითი შედეგების გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე, შესაბამისად უნდა გააგრძელდეს სტრუქტურული რეფორმების განხორციელება", - წერია ფონდის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

[4] საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მასალები 02.11.2018

2.3 საქართველოს გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში

WTO დაარსდა 1995 წლის 1 იანვარს ქ. ჟენევაში, შვეიცარიაში. დღესდღეობით იგი 164 წევრ ქვეყანას და 24 დამკვირვებელს ითვლის, რომელთა წილად მოდის საერთაშორისო ვაჭრობის 95 პროცენტზე მეტი.

WTO წარმოადგენს 1947 წელს ხელმოწერილი „ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების“ GATT-ის სამართალმემკვიდრეს. GATT-ი წარმოადგენს მრავალმხრივ შეთანხმებას, რომელიც ადგენს წესებს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლიანი წარმართვისთვის. იგი ასევე გამოიყენება, როგორც საერთაშორისო ფორუმი სავაჭრო ბარიერების გაუქმების შესახებ მოლაპარაკებებისათვის.

WTO -ს ძირითად პრონციპებს წარმოადგენს:

- ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისხმობს ერთის მხრივ წევრი ქვეყნების მიერ ერთმანეთისთვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას, ხოლო მეორე მხრივ თანაბარი უფლებებისა და პირობების უზრუნველყოფას იმპორტული და ადგილობრივად წარმოებული საქონლისთვის.
- ქვეყნების ინტეგრაცია საერთაშორისო და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ერთობრივი დაგეგმვა მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულების ბაზაზე;
- კეთილსინდისიერი დათმობების წახალისება ურთიერთდათმობების განხორციელებით;
- დავების გადაწყვეტა კონსულტაციებითა და მოლაპარაკებების გზით, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში GAთთ-ის სპეციალური ორგანოების გადაწყვეტილებებზე დაყრდობა;
- შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად ტარიფული მეთოდების გამოყენება და არა რაოდენობრივი შეზღუდვების და სხვა ტექნიკური ბარიერების დაწესება;

- თითოეულ ქვეყანაში პროგნოზირებადი სავაჭრო პოლიტიკის უზრუნველყოფა;
- დაიხვეწა წესები ისეთ სფეროებში, როგორიცაა სუბსიდიები, ანტიდემპინგი, ვაჭრობაზე მოქმედი ტექნიკური ბარიერები, ბაზრის დაცვის ღონისძიებები, დავების გადაწყვეტის მექანიზმი და სხვა;

WTO-ს ძირითადი ფუნქციებია:

- სამართლებრივი ბაზის შემუშავება ვაჭრობაზე მოქმედი ბარიერების მართვისა და საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციის აღკვეთის უზრუნველყოფის მიზნით;
- მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების პროცესის წარმართვა;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული საერთაშორისო დავების მოგვარება;
- WTO-ს წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობა;
- მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

WTO-ს მუშაობის პრაქტიკული პრინციპები:

ორგანიზაციის საქმანობას საფუძვლად უდევს სამი საერთაშორისო ხელშეკრულება:

1. გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფების შესახებ **(**GATT**);**

2. გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ **(**GATS**);**

3. შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების სავაჭრო ასპექტების შესახებ;

შეთანხმებათა ძირითადი მიზანია - დახმარების გაწევა ყველა ქვეყნის ფირმისათვის, რომელიც დაკავებულია ექსპორტ-იმპორტით.

WTO-ს მმართველ ორგანოებს გააჩნია სამი იერარქიული დონე



სტრატეგიული გადაწყვეტილებები უმაღლეს დონეზე WTO-ში მიიღება მინისტრთა კონფერენციის მიერ, რომელიც იკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც.

მინისტრათა კონფერენციის დაქვემდებარებაში იმყოფება გენერალური საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია მიმდინარე საქმიანობის შესრულებაზე და წელიწადში რამდენჯერმე შტაბ-ბინაში ჟენევაში იკრიბებიან წევრი ქვეყნების წარმომადგენლები (როგორც წესი ელჩები და წევრი ქვეყნების დელეგაციის მეათაურები). გენერალური საბჭოს შემადგენლობაში შედის 2 სპეციალური ორგანო:

- დავების გადაწყვეტის ორგანო;
- სავაჭრო პოლიტიკის განხილვის ორგანო (2 წელიწადში ერთხელ).

WTO-ში შედის სამი დამოუკიდებელი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მქონე საბჭო:

- საქონლით ვაჭრობა;
- მომსახურებით ვაჭრობა;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია ბევრ სხვადასხვა სფეროს მოიცავს:

1. სოფლის მეურნეობა:

2. სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები:

3. საფეიქრო ტანსაცმლის წარმოება:

4. ვაჭრობაზე მოქმედი ტექნიკური ბარიერები:

5. ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ზომები (TRIMS):

6. ანტიდემპინგი:

7. საბაჟო შეფასება:

8. გადაზიდვაზე ინსპექტირება:

9. საქონლის წარმოშობის წესები:

10. იმპორტის ლიცენზირების პროცედურები:

11. სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომები:

12. დაცვითი ზომები:

13. მომსახურებით ვაჭრობა (GATS):

14. ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები (TRIPS):

15. დავების გადაწყვეტა:

16. სავაჭრო პოლიტიკის განხილვის მექანიზმი:

17. სამოქალაქო თვითმფრინავებით ვაჭრობა:

18. სახელმწიფო შესყიდვები:

1996 წელს საქართველომ გაწევრიანების თხოვნით მიმართა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას. გაერთიანების ოქმს ხელი მოეწერა 1999 წლის 6 ოქტომბერს, ხოლო პარლამენტის მიერ ამ აქტის რატიფიკაციის შემდეგ 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო გახდა WTO-ს სრულფასოვანი 137-ე წევრი.

WTO-ში გაწევრიანების შედეგად:

- გაძლიერდა საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში;
- WTO-ს შეთანხმებებთან მიერთებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა უფრო ჰარმონიზებული გახდა ევროპულთან, რაც აუცილებელი პირობაა ევროკავშირში ინტეგრირების სტრატეგიული მიზნის მისაღწევად;
- საერთაშორისო ბაზარზე გაუმჯობესდა პირობები საქართველოს საექსპორტო პრიდუქციისთვის. ქართველი მეწარმეები დაცულნი გახდნენ ამ ბაზრებზე დისკრიმინაციისგან WTO-ს მრავალმხრივი შეთანხმებებით;
- საქართველომ მიიღო საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში წამოჭრილი სადავო საკითხების სამართლიანი და ობიექტური გადაჭრის საშუალება;
- გაუმჯობესდა გარემო უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის, რადგან ინვესტორს გრძელ ვადაზე პროგნოზირებადი სავაჭრო პოლიტიკის გარანტია გაუჩნდა, ხოლო ქართულ პროდუქციას გაეხსნა საგარეო ბაზრები;
- საქართველომ მიიღო სრულფასოვანი წევრის ხმა WTO-ს ორმხრივ და მრავალმხრივ მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის.

მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვნად ინტეგრირება საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადასაჭრელად აუცილებელია საბაზრო პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობების განვითარება და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ მიმართულებით WTO-ში გაწევრიანება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა.

1994 წელს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის დავალებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალურ შეთანხმებაზე (GATT) საქართველოს მიერთების მიზნით. საქართველომ იმავე წელს მიიღო დამკვირვებლის სტატუსი ამ ორგანიზაციაში, მაგრამ 1995 წლის 1 იანვრიდან GATT-ის WTO-დ გარდაქმნასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა ამ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად მოლაპარაკებათა პროცესის თავიდან დაწყება.

1996 წლის 26 ივნისს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს მიენიჭა WTO-ს დამკვირვებლის სტატუსი. 1996 წლის ივლისში საქართველოს მხარემ ოფიციალურად განაცხადა აღნიშნული ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღების სურვილი, რის შედეგადაც WTO-ს გენერალურმა საბჭომ ჩამოაყალიბა წევრი ქვეყნების სამუშაო ჯგუფი საქართველოს გაწევრიანების საკითხზე სამუშაოდ. სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღებისთვის დაწესებული პროცედურის შესაბამისად 1997 წლის მარტში WTO-ს სამდივნოს ოფიციალურად გადაეგზავნა მემორანდუმი საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმის შესახებ.

გაწევრიანების პროცესში, რომელიც დაახლოებით სამ წელიწადს გრძელდებოდა გაიმართა 5 ოფიციალური მრავალმხრივი, აგრეთვე ორმხრივ მოლაპარაკებათა რამდენიმე რაუნდი 30-მდე წევრ ქვეყანასთან, სულ 120-მდე შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრებზე წევრ ქვეყნებთან შეთანხმდა ბმული სატარიფო განაკვეთები საქონლის იმპორტზე, საქონლით ვაჭრობის ბაზარზე დაშვების პირობები და ვალდებულებები მომსახურებით ვაჭრობის სფეროში. გაწევრიანების მუშა ჯგუფის ანგარიშში დაფიქსირდა, ასევე ის ვალდებულებები, რომლებსაც საქართველო შეასრულებს თანმიმდევრულად 5 წლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში საკანონმდებლო-ნორმატიულ ბაზაში სათანადო ცვლილებათა გზით.

გაწევრიანების პროცესს ხელმძღვანელობდა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 16 ივლისის განკარგულებით შექმნილი კომისია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას

იღებდნენ საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, პრაქტიკულად ყველა სამინისტროსა და ეკონომიკურ საკითხებთან შეხებაში მყოფი უწყების წარმომადგენლები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს WTO-ში გაწევრიანების მიზნით უწევდნენ მას ტექნიკურ დახმარებას (ევროკავშირი - ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) პროექტის სახით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) - საინსტიტუციო რეფორმებისა და არაფორმალური სექტორის (IRIS) კავკასიური ცენტრის სახით და მსოფლიო ბანკი).

1999 წლის 6 ოქტომბერს WTO-ს გენერალურმა საბჭომ მოიწონა სამუშაო ჯგუფის მოხსენება და ხელი მოეწერა WTO-ს დაფუძნებულ მარაკეშის შეთანხმებაზე საქართველოს მთავრობის ოქმს. 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა WTO-ში საქართველოს გაწევრიანების ოქმს და 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო გახდა WTO-ს სრულუფლებიანი 137-ე წევრი.

„ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან საქართველოს, როგორც ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის ურთიერთობათა წარმართვის შესახებ“ საქართველო პრეზიდენტის 2001 წლის 26 მარტის №113 ბრძანებულებით ჩამოყალიბდა WTO-თან თანამშრომლობის სამთავრობო კომისია, საგარეო საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით, რომელიც კოორდინაციას უწევს WTO-თან ურთიერთობებს.

WTO-ს დამფუძნებელ მარაკეშის შეთანხმებაზე მიერთების ოქმის ხელმოწერით, საქართველო მიუერთდა ამ ორგანიზაციის შეთანხმებათა მთლიან პაკეტს, აგრეთვე იკისრა ვალდებულებები, რომელიც დაფიქსირებულია ოქმის დანართ დოკუმენტებში.

ესენია:

- საქართველოს ბმული ტარიფების ცხრილები;
- მომსახურებით ვაჭრობის სფეროში სფეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილები;

- მიერთების მუშა ჯგუფის ანგარიში.

ბმული ტარიფების ცხრილები წარმოადგენენ საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის მაქსიმალური განაკვეთების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენების უფლება გააჩნია საქართველოს, WTO-ს წევრების დამატებითი თანხმობის გარეშე.

იმ სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფები დაფიქსირდა უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე მოქმედი ტარიფი (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფარმაცევტული პროდუქცია, მანქანა-დანადგარები, ზოგიერთი ნედლეული და ა.შ.), საქართველო გაწევრიანების დღიდან ვალდებული იყო მოქმედი ტარიფი მოეყვანა „ბმულის" მოთხოვნებთან შესაბამისობაში (დაეწესებინა მის დონეზე ან უფრო დაბალი ტარიფი).

სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფის დონე მოქმედზე მაღალია, საქართველოს აქვს უფლება აწიოს საიმპორტო ტარიფი ბმულის დონემდე, თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

მაღალი დონეები გაწევრიანებისას შეთანხმდა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ალკოჰოლი, ხილის წვენები, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, თამბაქო და ა.შ.), აგრეთევ მცირე რაოდენობის სამრეწველო პროდუქციაზე (სამშენებლო მასალები, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი და ა.შ.).

ზოგიერთ პროდუქციაზე ბმული ტარიფი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში (5-6 წელი) განიცდიან თანდათანობით დაკლებას.

სატარიფო დაცვის დონის დახასიათებისთვის, ჩვეულებრივ იყენებენ ე.წ. საშუალო შეწონილი ტარიფის მაჩვენებელს, რომელიც ცალკეული სატარიფო დონის სიდიდესთან ერთად ითვალისწინებს, შესაბამისი სასაქონლო პოზიციის იმპორტის მოცულობას ქვეყნის საერთო იმპორტში.

გაწევრიანების შემდგომ გამოიკვეთა აზრთა სხვადასხვაობა მოქმედ ტარიფში შესატან ცვლილებათა თაობაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით სუსტი საბაჟო ადმინისტრირების პირობებში საქართველოს მთავრობას თავი უნდა შეეკავებინა საბაჟო ტარიფის განაკვეთების ყოველგვარი მომატებისაგან. საკითხის განხილვამ და შესაბამისი კანონპროექტის ირგვლივ გამართულმა კონსულტაციებმა გამოიწვია მისი პარლამენტში წარდგენის ხანგრძლივი პერიოდით დაგვიანება. დღეისთვის, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომლის ამოქმედებით შესრულდება საქართველოს ვალდებულებები სატარიფო სფეროში.

ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს მიერ 2001 წლის იმპორტის ბაზაზე ჩატარებული გათვლების თანახმად იმ შემთხვევაში, თუ საქართველო დააწესებს საიმპორტო-საბაჟო გადასახადს „ბმულის“ დონეზე საშუალო შეწონილი ტარიფი (თავისუფალი ვაჭრობის წილის გათვალისწინებით) შეადგენს 7,2 დოლარს.

მომსახურებით ვაჭრობაში სპეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილებით განსაზღვრულია ის შეზღუდვები, რომელიც ეხება მომსახურების ადგილობრივ და უცხოურ მომწოდებლებს. შეზღუდვები 2 ტიპისაა:

- „ჰორიზონტალური“, რომელიც ეხება მომსახურების ყველა სექტორს;
- „ვერტიკალური“, რომელიც სფეციფიკურია კონკრეტული სექტორის მიმართ;

უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურებით ვაჭრობის რეგულირება საქართველოს ფრიად ლიბერალიზებული აქვს, ე.ი. უცხოელ მომწოდებლებს ადგილობრივთან შედარებით, დაუწესდათ მეტად მცირერიცხოვანი შეზღუდვები (საბანკო საფინანსო, სადაზღვეო, სამშენებლო და ზოგიერთ სხვა სექტორებში).

გაწევრიანების პროცესში, მუშა ჯგუფის მიერ დეტალურად იყო განხილული საქართველოს ეკონომიკური სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული და სახელშეკრულებო ბაზა, რათა WTO-ს წევრი ქვეყნები დარწმუნებულიყვენენ WTO -ს ნორმებთან მის შესაბამისობაში.

გაწევრიანების მსვლელობაში გატარდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, რათა მომხდარიყო საქართველოს კონონმდებლობის რაც შეიძლება სრული ჰარმონიზაცია WTO-ს მოთხოვნებთან, ხოლო აუცილებელი სამომავლო ცვლილებები, აგრეთვე WTO-ს სხვადასხვა შეთანხმებების დაცვის პირობები დაფიქსირდა გაწევრიანების მუშა ჯგუფის ანგარიშში, ვალდებულებათა სახით. ეს ვალდებულებები შეეხება საკმაოდ ფართო სპექტრის საკითხებს, ისეთს როგოროც არის სამეწარმეო საქმიანობის ექსპორტიმპორტის ლიცენზირება, საგადასახადო სისტემა, სტანდარტიზაცია, სერტიფიკაცია, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, სუბსიდიები, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტები და ა.შ.

18-წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთმა, ჟენევაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობის შესახებ პროტოკოლს, ხელი მოაწერა. რუსეთმა ჯერ კიდევ 1993 წელს მიმართა GATT-ს ოფიციალური განცხადებით, რომ მას მიერთებოდა. 1995 წლიდან დაიწყო გაწევრიანებისთვის მოლაპარაკებები, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საქართველო გახდებოდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, თუმცა რუსეთის ორგანიზაციაში მიღებას სრულიად სხვა ფაქტორები აფერხებდა. საქართველოს გარდა, რუსეთი ურთიერთობებს აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნებთანაც არკვევდა. 2009 წელს დავოსში რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ეჭვი გამოთქვა, რომ ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხი პოლიტიკური ნიშნით ფერხდებოდა. ანალიტიკოსები საკითხის გაჭიანურების მიზეზად ასახელებენ რუსეთის ფედერაციის მმართველობის ავტორიტარულ ფორმას, ასევე იმ საერთაშორისო სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში არის კორუფციის მაღალი დონე, ქრთამის მაღალი წლიური ოდენობა, ჩრდილოვანი ეკონომიკა და მთავრობის მიერ კონტროლირებადი ბიზნესი. მიუხედავად ამისა, ამერიკა და ევროკავშირის ქვეყნები ვერ

გაექცნენ იმ ფაქტს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის წევრობა მათთვის ხელსაყრელი იქნებოდა.

საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებები შვეიცარიაში დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თანხმობის მაღალ ფასად ,,გაყიდვას" აპირებდა, აშშ-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერის გარეშე, ვეტო არცთუ რეალური აღმოჩნდა. ანალიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ პოლიტიკური ვაჭრობის გვერდზე გადადების გარეშეც საქართველოსთვის მომგებიანი იქნებოდა თუნდაც ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის უპირობო გახსნა და 2006 წლიდან დაწესებული ემბარგოს გაუქმება.

რაც შეეხება რუსეთის მხრიდან ემბარგოს მოხსნას; ეს არც სავაჭრო საგანი უნდა ყოფილიყო და არც რომელიმე მხარის გადასაწყვეტი, რადგან რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება ისედაც გულისხმობს ამ ქვეყნის მოქცევას ცივილიზებულ ჩარჩოებში და მის მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების გათვალისწინებას. ეს კი იქამდე მიდის, რომ რუსეთს არა უპირობოდ, მაგრამ ადრე თუ გვიან მოუწევს ემბარგოს მოხსნა – ასეთია ექსპერტთა უმრავლესობის აზრი. გასათვალისწინებელია მიზეზი, რის გამოც რუსეთის მხარემ ემბარგო დააწესა. ეს პროდუქციის უხარისხობით იყო ახსნილი. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია კი ბაზარზე სწორედ ხარისხიანი პროდუქციის ექსპორტს გულისხმობს.

თავი 3

გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება საქართველოში

3.1 მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების დამოკიდებულება გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობასთან

კვლევა

ჩემი კვლევის მიზანია გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება საქართველოში. ჩატარებულია გამოკითხვა მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების, განსხვავებული სოციალური სტატუსის და სხვადასხვა სფეროში დასაქმებულთა მიხედვით.

სულ გამოკითხულია 79 რესპოდენტი.

1.სქესის მიხედვით ლიდერობს მდედრობითი 68,4%, ხოლო მამრობითი 31,6%-ს შეადგენს.



2.რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს გამოკითხულთა დიდი ნაწილი შეადგენს 18-25 – 65,8%, 25-35 – 26,6%, 35-50 – 4,8% და 2,8%.



3.განათლების დონის მიხედვით ლიდერობს ბაკალავრის ხარისხის მქონენი 53,2%, შემდეგ არის მაგისტრანტები 27,8%, საშუალო განათლების და მაგისტრის ხარისხი კი 7,6 - 7,6%-ს შეადგენს, ხოლო პროფესიული განათლება კი 3,8%-ს.



4.გამოკითხულთა უმეტესობა შეადგენს დასაქმებულ სტუდენტებს



5.დასაქმების სექტორის მიხედვით უპირატესია კერძო სექტორში დასაქმებულები 75,9%, ხოლო სახელმწიფო სექტორი 24,1%-ს შეადგენს.



6.დასაქმების სფეროს მიხედვით უმეტესია სხვა 42.8%, საბანკო და საფინანსო 39.2%, 8.9% კი მომსახურების სფერო.



7.შეკითხვაზე რამდენად ხართ ინფორმირებული საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაცია და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) საქმიანობის შესახებ?

გამოკითხულთა 70,9% ნაწილობრივაა ინფორმირებული, 16,5% სრულად ინფორმირებული და ხოლო 12,7% საერთოდ არაა ინფორმირებული.



8.შეკითხვაზე „როგორ შეაფასებდით საერთაშორისო ორგანიზაციების წვლილს გლობალური ეკონომიკური პროცესების დახვეწისა და ხელშეწყობის საკითხში, რომლებიც ემსახურებიან ეკონომიკური კრიზისების შემცირებას და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობას?“ გამოკითხულთა უმეტესობა 34,2% უფრო დადებით მოვლენად აღიქვამს ამას, ვიდრე უარყოფითად. 31,6% დადებითად, ხოლო 25,3% კი ნეიტრალურია.



9.კითხვაზე“რა საშუალებებით იღებთ ინფორმაციას მსოფლიო ბანკის ქმედებების შესახებ?“ უპირატესია ინტერნეტი 49.4%, შემდეგია მედია 22.8%, სოციალური ქსელები 17.7%, 7.6% კი სხვა საშუალებებით.



10. როგორ შეაფასებდით მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსათვის 1992 წლიდან დღემდე გამოყოფილ დაფინანსებას, რომელთა თითქმის 70% საინვესტიციო პროექტებზე მიდის, 30% კი განვითარების პოლიტიკის ღონისძიებების ფარგლებში ბიუჯეტისათვის გაწეული დახმარებაა? (შეაფასეთ 1დან 5 მდე შკალით, ძალიან ცუდიდან ძალიან კარგისკენ)



11.შეკითხვაზე: „რამდენად ხართ ინფორმირებული 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი დაფინანსების შესახებ, რომელიც მიმართული იყო დევნილთათვის ელემენტალური საცხოვრებელი პირობების შექმნისთვის?“

გამოკითხულთა უმეტესობა 73,4% ნაწილობრივაა ინფორმირებული, 15,2% საერთოდ არაა ინფორმირებული, ხოლო 11,4% კი სრულადაა ინფორმირებული.



12. შეკითხვაზე „წინა კითხვიდან გამომდინარე, როგორ შეაფასებდით მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებას 2008 წლის ომის შემდგომ?“ გამოკითხულთა 44.3% აფასებს დადებითად, 31.6% უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად, 20.3%-ს კი ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს



13.“თქვენი აზრით არის თუ არა საკმარისი, მსოფლიო ბანკის მიერ გაწეული დახმარება საქართველოსთვის, რომელიც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის?“ 60.8% მიიჩნევს რომ ნაწილობრივ საკმარისია, ხოლო 38% კი არ არის საკმარისი.



14.“ხართ თუ არა ინფორმირებული რა ძირითადი მისია აკისრია საერთაშორისო სავალუტო ფონდს მსოფლიოში და კონკრეტულად საქართველოში?“ რესპოდენტთა 63.3% ნაწილობრივაა ინფორმირებული, 21.5% არაა ინფორმირებული, ხოლო სრულად ინფორმირებული კი 16.2%-ია.

ხართ თუ არა ინფორმირებული რა ძირითადი მისია აკისრია საერთაშორისო სავალუტო ფონდს მს... და კონკრეტულად საქართველოში?
79 პასუხი



15.“როგორ აფასებთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გაწეულ ბოლო დახმარებას, 41.4 მილიონი დოლარის გამოყოფასთან დაკავშირებით?“ 54.4% ამ ფაქტს დადებიტად აფასებს, 41.8 % ნეიტრალურად, 3.8% კი უარყოფითად

როგორ აფასებთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გაწეულ ბოლო დახმარებას, 41,4 მილიონი დოლარის გამოყოფასთან დაკავშირებით?
79 პასუხი



16.შეკითხვაზე “თქვენი აზრით, სსფ-ს მიერ გამოყოფილი ბოლოდროინდელი დაფინანსება როგორ გავლენას იქონიებს გაცვლითი კურსის სტაბილუტობისა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მიმართულებით?“ 38%-ს უჭირს პასუხის გაცემა, 30.4% ამ მოვლენას უფრო დადებითად აფასებს, ვიდრე უარყოფითად, 19% დადებითად, 7% უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი და 5.6% კი უარყოფითად.



17.თქვენთვის რამდენად მისაღებია სსფ-ს ბოლოდროინდელი შეფასება საქართველოს დადებით ეკონომიკურ მაჩვენებელთან დაკავშირებით: „ეკონომიკის ზრდის ტემპი მდგრადია, ინფლაცია კონტროლს ექვემდებარება, ხოლო საგარეო ფაქტორების მიმართ ქვეყნის მოწყვლადობა შემცირებულია. თუმცა ქვეყნის ხელისუფლება მზად უნდა იყოს, გაუმკლავდეს საგარეო ვითარების შესაძლო უარყოფითი შედეგების გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე, შესაბამისად უნდა გააგრძელდეს სტრუქტურული რეფორმების განხორციელება".(შეაფასეთ 1დან 5მდე შკალით სრულიად მიუღებლიდან სრულიად მისაღებამდე) - გამოკითხულთა 36.7% 3 ქულით აფასებს.



18.“თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები და დაფინანსებები, ქვეყანაში ინფლაციის დონის შემცირებისა და ვალუტის გამყარების კუთხით?“

გამოკითხულთა 50.6% მიიჩნევს რომ ნაწილობრივ საკმარისია, 48,1% არ არის საკმარისი, და მხოლოდ 1,3% რომ საკმარისია.



19.“როგორ შეაფასებდით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის როლს საქართველოში თავისუფალი ვაჭრობის წარმოების და ხელშწყობის მიმართულებით(შეაფასეთ 1დან 5მდე შკალით უარყოფითიდან დადებითისკენ)

რესპოდენტთა 45.6% ამ როლს 3 ქულას ანიჭებს.



20.“თქვენი აზრით ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობისათვის მეტად მისაღებია თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები თუ ჩაკეტილი ეკონომიკა?“

გამოკითხულთა უმეტესობა 88.6% თავისუფალ ეკონომიკურ სისტემას ანიჭებს უპირატესობას, ხოლო 11.4% კი ჩაკეტილს



21.საბოლოო ჯამში როგორ შეაფასებდით, საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედებებს საქართველოში და მათ წვლილს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით(შეაფასეთ 1დან 5მდე შკალით უარყოფითიდან დადებითისკენ)

45.9% ამ მოვლენას 3 ქულიანი შკალით აფასებს



დასკვნა

ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი მოქმედება საქართველოში. გამოკითხული რესპოდენტებიდან მიღებული პასუხების საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არაა ინფორმირებული საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ, ისინი არ იცნობენ მათ მიერ განხორციელებულ პროექტებს.არ აქვთ ინფორმაცია იმ დაფინანსებებისა და დახმარებების შესახებ, რომლებსაც ეს ორგანიზაციები ჩვენს ქვეყანას უწევენ. არ იციან იმ წვლილის შესახებ, რაც მათ შეაქვთ ზოგადად სხვადასხვა ქვეყნების და ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, სიღარიბის დონის გაუმჯობესებაში, ინფრასტრუქტურულ თუ საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებაში. ასევე აღსანიშნავია მათი ინფორმირებულობის ნაკლებობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ, რომელსაც შეაქვს უდიდესი წვლილი ჩვენი ეროვნული ვალუტის - ლარის გამყარებისათვის და ზოგადად ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

რეკომენდაციები

ჩატარებული გამოკითხვის მასალების ანალიზის თანახმად გაკეთებული დასკვნების შესაბამისად ჩვენს მიერ განსაზღვრული იქნა შემდეგი რეკომენდაციები: მნიშვნელოვანია მოსახლეობაში ცნობიერების დონის ამაღლება გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) და მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა თუ პროექტების შესახებ. ამაზე უნდა იზრუნოს მთავრობამ და მედიის, ჟურნალ-გაზეთებისა და სხვადასხვა საინფორმაციო არხების მეშვეობით მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია თუ რა როლი აქვთ ამ ორგანიზაციებს ქვეყნის განვითარებაში. საჭიროა მოსახლეობას გააჩნდეს ინფორმაცია თუ რა როლი აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებს ცხოვრების დონის ამაღლებაში და ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობაში.

უდავოა, რომ საქართველოს საერთაშორისო დახმარებების, გრანტებისა თუ კრედიტების საშუალებით შეუძლია ქვეყნის პროფიციტური ბიუჯეტის შექმნა და ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

- თ.შენგელია, გლობალური ბიზნესი, 2012 წელი. თბილისი
- ზ.დავითაშვილი , ნაციონალიზმი და გლობალიზაცია
- Nplg.ge - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მასალები
- http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=7112

  ჟვანია ნინო. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის / ნინო ჟვანია ; [მთ. რედ.: მარინე ჩიტაშვილი, ენობრ. რედ.: ლია კაჭარავა] - თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006 - 74გვ.; 29სმ. - (სოციალურ მეცნიერებათა სერია) - - რეზ. ინგლ. ენ. - ISBN 99940-872-2-3 : [ფ.ა.]

- ქ.ბოლქვაძე-გლობალიზაცია, მოდერნიზაცია და ვესტერნიზაცია,2008 წელი https://irdb.wordpress.com/2010/02/15/%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90/
- ე.კვანტალიანი-მსოფლიო ბანკი და საქართველო/World Bank And Georgia -2015 წელი http://muchstudentworks.blogspot.com/2015/06/blog-post.html
- ზ.მარშანია - საერთაშორისო ორგანიზაციები"თავი IV - გაეროსსისტემაში არსებული საერთაშორისო სამთავრობითაშორისო ორგანიზაციები"
- http://web.worldbank.org/archive/website01363/WEB/0_-15437.HTM
- საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მასალები 02.11.2018 http://www.mrdi.gov.ge/ge/news/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-

%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1

- საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი საქართველოს ეკონომიკისთვის - 20.10.2017 http://bfm.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%9D-%E1%83%A4-3/
- http://projects.worldbank.org/search?lang=en&searchTerm=&countrycode_exact=GE